

გამარჯვების რეცეპტი - გიორგი დემეტრაძე
A6




ახალი გამაგრილებელი პროექტი
A7



ოლეგ ტაბაკოვი იუბილარია
A8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 18 აგვისტო, 2005 წელი. №188 (1048) | ფასი 50 თეთრი


## ამბები

### ქრონიკული ენერგოკრიზისი საქართველოში

საქართველოს ენერგოსისტემაში კვლავ დეფიციტია. გუშინ დღე ენერგეტიკოსთა ურთიერთბრალდებებით დაიწყო.

A2

## ამბები

### რუსთაველი მძღოლების ბუნტი

რუსთავიდან დედაქალაქისკენ მოძრავი ყველა სამარშრუტო მიკროავტობუსი ორთაჭალის სადგურში უნდა შევიდეს. თბილისის მერიამ ეს დადგენილება ჯერ კიდევ 2004 წლის აგვისტოში მიიღო და ის ძალაში რამდენიმე დღეში, ანუ მაშინ შევა, როცა თბილისი კიდევ 500 ავტობუსით გამდიდრდება.

A2

## ამბები

### ცხინვალის რეგიონში კიდევ ერთი ქართველი გაიტაცეს

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში ჯარმელაშვილის გატაცებაზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ოსური მხარე ზემო არცევის მკვიდრის გატაცების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

A3

## სხვადასხვა

### კულტურული მემკვიდრეობის ახალი კრებული

პროექტზე თორმეტწლიანი მუშაობისას მეცნიერებმა 35 000 ფოტო და 1187 არქიტექტურული ძეგლის 4 800 ნახაზი შეაგროვეს.

A8

## სხვადასხვა

### "პინქფლოიდი" ერთად ვერ იარსებებს

ლეგენდარული ჯგუფის წევრები დაკმაყოფილდნენ Live 8-ის ფესტივალზე გამოსვლით. იმის მიუხედავად, რომ გამოსვლით მუსიკოსებიც კმაყოფილი დარჩნენ, როჯერ უოტერსი, დევიდ გილმორი, ნიკ მეისონი და რიჩარდ რაიტი სცენაზე ერთად მაინც აღარ აპირებენ ყოფნას.

A8

## ამინდი

| | 18/08 | 19 /08 |
|---|---|---|
| თბილისი | 38 | 41 |
| ტყიბული | 40 | 37 |
| სოხუმი | 40 | 36 |
| გორი | 35 | 35 |
| ონი | 31 | 29 |
| ზუგდიდი | 45 | 40 |
| ახმეტა | 38 | 40 |
| გაგრა | 36 | 33 |
| სამტრედია | 42 | 40 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8025 |
| ევრო | 2.2156 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2539 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სხვადასხვა | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# არალეგალური მიგრაცია

## კრიმინალის ექსპორტი

მსოფლიო ბრძოლას უცხადებს ტრანსნაციონალურ დანაშაულს

გაგრძელება, დასაწყისი იხ. "24 საათი", N 187

ინგა ალავიძე

*"ჩვენ, მონა-არალეგალები, საკუთარი ნებით მივდივართ მონობაზე," - ეს ფრაზა ერთ-ერთ არალეგალს ეკუთვნის, ადამიანს, რომელიც გაჭირვებამ ლუკმა-პურის საშოვნელად, საკუთარი ქვეყნიდან უცხოეთში გააქცია. გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით, 2004 წლის 1 იანვრისთვის მსოფლიოში აღრიცხული იყო 17 მილიონი ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი. იმავე მონაცემებით, ამ 17 მილიონიდან 6 მილიონზე მეტი აზიის რეგიონზე მოდის, რაც, სხვა რეგიონებთან შედარებით, ძალზე მაღალი მაჩვენებელია.*

გაგრძელება A3 გვერდზე




# დევნილის სტატუსი და გაეროსგან განაწყენებული ჩეჩნები პანკისში

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*მეორე დღეა, რაც პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი დევნილები შიმშილობას განაგრძობენ. პროტესტი მესამე ქვეყანაში გადასვლის მოთხოვნას, საქართველოში გაეროს წრმომადგენლობის მიმართ უნდობლობას და რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს უკავშირდება. "ჩვენ არა ვართ ტერორისტები, ჩვენ ვართ მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელიც ცხოვრების ნორმალურ პირობებში ყოფნას მოითხოვს," - ამბობენ დევნილები. მათი პრეტენზიების მოსმენა გუშინ, ამერიკელ კონგრესმენებთან ერთად, სახალხო დამცველსაც უწევდა.*

გაგრძელება A3 გვერდზე




*ჩეჩენი დევნილები შიმშილობას განაგრძობენ.*

# ბრძოლა ტერორიზმთან დემოკრატიულად

ალვარო დე ვაშკონსელოში
*პორტუგალიის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის დირექტორი*

ლონდონსა და თურქეთში განხორციელებულმა ტერაქტებმა კვალავ აქტუალური გახადა ის ძველი მოსაზრება, რომ ავტორიტარული რეჟიმები უკეთ უმკლავდებიან ტერორიზმს, ვიდრე დემოკრატიული სახელმწიფოები; ხოლო ტერაქტები არის მსხვერპლი, რომელსაც ჩვენ თავისუფლებისთვის ვიხდით. ზოგიერთისთვის ეს მსხვერპლი ამად ღირს, ზოგისთვის კი ძალიან დიდია.

გაგრძელება A5 გვერდზე




*ექსტრემიზმისთვის საუკეთესო პასუხია ღია, პლიურალისტური საზოგადოების განვითარება.*

# ნარკომანიის საზოგადოებრივი ფასი

თამარ მაისურაძე

საქართველოს მთავრობა ნარკომანიას კიდევ ერთხელ უცხადებს ბრძოლას და ახალი ინიციატივით გამოდის: საზოგადოებას უხმობს, რომ ამ ვერაგი დაავადების დაძლევაში სახელმწიფოს ხელი შეუწყოს.

როგორც ამ საქმის ექსპერტები ამბობენ, საქართველოში ნარკომანთა რაოდენობა 250 ათასს აჭარბებს. ნარკომანიასთან ბრძოლა, მხოლოდ ნარკოტიკების რეალიზატორთა დაჭერას არ გულისხმობს. პარალელურად, აუცილებელია ნარკომანების საზოგადოებაში ინტეგრაცია, მათთვის ხელის შეწყობა, რომ ნარკოტიკებზე უარი თქვან. ეს ფრაზები მრავალი წლის განმავლობაში პერმანენტულად გვესმის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არაფერი იცვლება...

არსებობს სასამართლოს უამრავი გადაწყვეტილება, რაც ნარკომანს მკურნალობას აიძულებს. სასამართლოს მიერ "დაკვალიანებული" ავადმყოფები იძულებით მკურნალობას ქუჩაში გადიან, რადგან სახელმწიფო მათთვის "ხელის შეწყობას" ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს.

გასულ წლებში სახელმწიფოს ნარკომანები 450 ათას ლარად უღირდა. წელს სახელმწიფო ბიუჯეტში ნარკომანების მკურნალობისთვის მხოლოდ 150 ათასი ლარი ჩაიდო. როგორც ნარკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი გელა ლეჟავა ამბობს, ეს თანხა, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა მოემსახუროს ამ პრობლემის მოგვარებას, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გადანაწილდა.

საბოლოოდ ირკვევა, რომ ის, რის წინააღმდეგაც ჩვენი მთავრობა დაირაზმა და ამ ყველაფერში გვერდში დგომაც შემოგვთავაზა, ქვეყნის ბიუჯეტში არაადეკვატურად აისახა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# 1000 ლარი ნარკორეალიზატორების გამოვლენისთვის

*შინაგან საქმეთა სამინისტრო ბოლო ხანებში ეფექტურად აპრობირებული პრაქტიკის გამოყენებას - საჭირო ინფორმაციის მიმწოდებელთა დაჯილდოებას ამჟამად ნარკორეალიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში აპირებს. ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გუშინ განაცხადა, როდესაც მან ჟურნალისტებს ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში სამართალდამცველთა უკანასკნელი მიღწევები გააცნო.*

1000 ლარი მას, ვინც პოლიციას ნარკორეალიზატორების ვინაობას შეატყობინებს - შინაგან საქნეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის პრესკონფერენციაზე ასეთი გადაწყვეტილება ნარკომანიასთან დაკავშირებით შექმნილ მძიმე მდგომარეობას უკავშირდება. მდგომარეობა რომ მართლაც მძიმეა, ამის მაგალითად გუშინ მერაბიშვილმა სოფელ ფონიჭალაში ჩატარებული სპეცოპერაცია დაასახელა და პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ამ სოფლიდან ამოღებული განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ნარკოტიკებიც უჩვენა.

მისი განცხადებით, ნარკორეალიზატორის დაკავების სპეცოპერაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტისა და ქვემო ქართლის რეგიონული სამსახურის თანამშრომლებმა განახორციელეს. "ოპიუმი" სამართალდამცველებმა 36 წლის აბადათ როვშან ოღლი გუსეინოვის სახლის სარდაფიდან ამოიღეს.

მინისტრის თქმით, მიუხედავად ფონიჭალაში ჩატარებული არაერთი სპეცოპერაციისა, აქ ნარკორეალიზატორთა რაოდენობა არ მცირდება.

**"სოფელ ფონიჭალაში სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად ამოღებულია ოთხი კილოგრამი და სამასი გრამი ოპიუმი. ბოლო ხანებში ამ სოფელში 25 კაცია დაპატიმრებული. მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, მომავალშიც ამოვიღოთ მსგავსი ოდენობით ნარკოტიკი, თუ საზოგადოებაც აქტიურად არ ჩაერთვება ნარკომანიასთან ბრძოლაში, მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუჭირდება ამ სენთან გამკლავება"**, - აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ოპოზიციის მორიგი ბრალდება

### ხელისუფლება წინასაარჩევნოდ საბიუჯეტო თანხებს ანიავებს

*"ისნის რაიონში სახელისუფლებო კანდიდატი ასრულებს ამ რაიონის გამგებლის ფუნქციას. ის ხელმძღვანელობს, რა უნდა გაკეთდეს, სად გზა შეკეთდეს და ასფალტი დაიგოს. მაშინ, როცა აქ თვეების განმავლობაში არაფერი გაკეთებულა, ახლა მილიონ რვა ათასს ხარჯავენ", - აცხადებს პრაიმერის წინასაარჩევნო კომისიის წარმოამდგენელი, "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძე და იქვე დასძენს, რომ "ტყიბულში საოლქო კომისია პავლე კუბლაშვილის დაკვეთით მუშაობს". ოპოზიციური კომისიის წევრები ხელისუფლებას სერიოზულ კანონდარღვევებში ამხელენ. მათი აზრით, ასეთ ვითარებაში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მონიტორინგი უნდა დააწესოს.*

ვერიკო თევზაძე

წინასაარჩევნო კომისიის წარმომადგენელთა განცხადებით, თბილისის ბიუჯეტიდან წინასაარჩევნოდ სოლიდური თანხები იხარჯება. მათი განმარტებით, ამ "ტრადიციას" საფუძველი პრეზიდენტმა სააკაშვილმა ჩაუყარა, რომელიც, ბიუჯეტის თანხების ხარჯზე, სპორტულ მოედნებს აშენებდა და ამომრჩეველს ამით თავს აწონებდა.

"ლეიბორისტ" ჯონდი ბაღათურიას განმარტებით, ხელისუფლება სოლიდურ თანხას არ იშურებს ისეთი "უპერსპექტივო კანდიდატის" გასაყვანად, როგორიც არის ბიძინა ბრეგაძე. **"მან თავი გამოიჩინა გამომძალველობისა და რეკეტისადმი მიდრეკილებებით. იგი ზღუდავდა ადამიანის უფლებებს თავის უფროსთან, გენიალური ტვინის მქონე ვანო მერაბიშვილთან ერთად,"** - ასე

გაგრძელება A3 გვერდზე

# ქრონიკული ენერგოკრიზისი საქართველოში

## ენერგეტიკოსები ისევ ურთიერთბრალდებებს "ცვლიან"

თამარ ხორბალაძე

საქართველოს ენერგოსისტემაში კვლავ დეფიციტია. გუშინ დღე ენერგეტიკოსთა ურთიერთბრალდებებით დაიწყო.

**"დღეს დილით დედაქალაქში 35-მეგავატიანი დეფიციტი არსებობდა. შეზღუდული იყო ნაძალადევის რაიონი, თემქა, გლდანი, მუხიანი და ავჭალის დასახლება",** - განაცხადა ფანცულაიამ. მისივე თქმით, "თელასისთვის" ელექტროენერგიაზე ლიმიტი საბითუმო ბაზარს 15 აგვისტოს შემდეგ აღარ განუსაზღვრავს. 15 აგვისტომდე "თელასი" საღამოს პიკზე 240 მეგავატს იღებდა, თუმცა 16 აგვისტოს ლიმიტი გაუფრთხილებლად შემცირდა და "თელასმა" მხოლოდ 190 მეგავატი ელექტროენერგია გახარჯა.

თავის მხრივ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ "თელასი" სავაჭრო წესების დარღვევაში დაადანაშაულა. სახელმწიფო ელექტროსისტემის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, რომ "თელასმა" საბითუმო ბაზრის მიერ საღამოს პიკისთვის დაწესებული 210-მეგავატიანი ლიმიტი 45-მეგავატით გადააჭარბა, ამის გამო ელექტროსისტემის სადისპეტჩერომ "თელასის" ქვესადგურები გათიშა და დედაქალაქის გარე უბნები ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.

საკმაოდ მწვავე იყო "თელასის" განცხადებაზე ენერგეტიკის მინისტრისეული კომენტარიც: საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური კომპანია "თელასის" მიერ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მისამართით გამოთქმულ პრეტენზიებს არაკომპეტენტურს უწოდებს. იგი აცხადებს, რომ "თელასის" მესვეურთა განცხადება, თითქოს დედაქალაქში ელექტროენერგია მოსახლეობის 50 პროცენტს არ მიეწოდება, სინამდვილეს არ შეესაბამება. მისივე განცხადებით, სხვადასხვა გენერაციის ობიექტებზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო დედაქალაქი, ელექტროენერგიის პიკური მოხმარების დროს, 20-30 მეგავატით იზღუდება, ხოლო მთელი საქართველოს მასშტაბით დეფიციტი 60-90 მეგავატს შეადგენს. მისივე თქმით, შეზღუდვები მიმდინარე კვირის ბოლომდე გაგრძელდება.

აქვე გილაურმა სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებითაც გააკეთა კომენტარი:

მისი თქმით, კომპანია "ფოიტ სიმენსს", რომელიც ენგურჰესის მესამე მისადგმელ ფარის სარემონტო სამუშაოებს ასრულებს, რეაბილიტაციის დადგენილი ვადის შეუსრულებლობის გამო, საქართველოს მთავრობისთვის ჯარიმის გადახდა მოუწევს. გილაურის განმარტებით, სარემონტო სამუშაოები კომპანიას გაზაფხულზე უნდა დაესრულებინა. მინისტრმა საჯარიმო თანხის ოდენობის დასახელებისგან თავი შეიკავა. მისი ინფორმაციით, აგრეგატის სარეაბილიტაციო სამუშაოები ოქტომბრისთვის დასრულდება.

რაც შეეხება შეზღუდვების მთავარ მიზეზს - "ჟინვალჰესს", რომელიც, როგორც "24 საათი" უკვე იუწყებოდა, სამშაბათს საქართველოს პრემიერმა მოინახულა. ჟინვალჰესის აგრეგატების სრული დატვირთვით ამუშავებას ითვალისწინებს ენერგეტიკის სამინისტროს პროექტი, რომელიც წყალგამყვანი ახალი გვირაბის მშენებლობას გულისხმობს. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა, არსებული 8 კილომეტრიანი გვირაბის სივიწროვის გამო, წყლის გაყვანა ფერხდება, რაც აგრეგატებს სრული დატვირთვით მუშაობის საშუალებას არ აძლევს. მისი ინფორმაციით, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, აგრეგატები 120 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებენ. პროექტის დაფინანსებისთვის საჭირო 25 მილიონი აშშ დოლარის მოსაძიებლად სამინისტრო დონორებთან მოლაპარაკებებს გამართავს. ნიკა გილაურმა აღნიშნა, რომ შესაძლოა, 2 კილომეტრიანი ახალი გვირაბის მშენებლობა გერმანიის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა KFW ან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა დააფინანსოს. ამჟამად ჟინვალის ჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოები მსოფლიო ბანკის 9 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსებით ხორციელდება. სრული რეაბილიტაცია 2006 წლის მარტში დასრულდება.

როგორც "ჟინვალჰესის" ადმინისტრაციაში განაცხადეს, სარებილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, ოთხშაბათიდან, სამი დღის განმავლობაში, ჰესი დილის 6 საათიდან 18 სთ-დე გაჩერდება, რაც ელექტროსისტემაში 80 მეგავატის დეფიციტს გამოიწვევს.


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს კონკურსს 200 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის ესკიზის შესაქმნელად.

კონკურსში გამარჯვებული ესკიზისათვის დაწესებულია ფულადი პრემია 3 000 ლარი, ხოლო მე-2 და მე-3 ადგილებზე გასული ესკიზებისათვის - შესაბამისად 1 500 და 500 ლარი.

ავტორმა ეროვნულ ბანკში საკონკურსო მასალები უნდა წარმოადგინოს მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე შემდეგი პირობების დაცვით:

1. ესკიზის ერთ მხარეს აუცილებლად უნდა იყოს გამოსახული გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის პორტრეტი, ხოლო უკანა მხარეს - სოხუმის ხედები;
2. კონკურსში გამარჯვებული ესკიზები ეროვნული ბანკის საკუთრებაა და 200 ლარის ნომინალის ბანკნოტის დიზაინის საბოლოო ვარიანტის განსაზღვრისას მას უფლება აქვს, ავტორებთან შეთანხმების გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ შეიტანოს ცვლილებები გამარჯვებულ ესკიზში და საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს მე-2 და მე-3 ადგილებზე გასული ესკიზების ცალკეული დეტალები და კომპოზიციები.
3. ესკიზი უნდა შესრულდეს ფერებში A4 (21სმ X 29.5სმ) ზომის ფორმატებზე და წარმოდგენილ იქნეს (როგორც წინა, ისე უკანა მხარე) ორ ვარიანტად - საპრეზენტაციო და ორიგინალური ზომით (სიგრძე - 145 მმ, სიგანე - 69 მმ);
4. ერთ ავტორს შეუძლია წარმოადგინოს რამდენიმე ესკიზი;
5. ესკიზს თან უნდა ერთვოდეს აღწერილობის ტექსტი და დიზაინის შინაარსის განმარტება;
6. ავტორმა საკონკურსო მასალა და პირადი რეკვიზიტები უნდა მოათავსოს განსხვავებული ზომის დალუქულ, პირადი სიმბოლოთი ან დევიზით აღნიშნულ ორ კონვერტში, რომლებზეც არ უნდა იყოს მითითებული ავტორის ვინაობა; დიდ კონვერტში უნდა მოთავსდეს პირადი სიმბოლოთი ან დევიზით დამოწმებული მონეტის ესკიზი, ხოლო შედარებით მცირე ზომის კონვერტში - ავტორის პირადი რეკვიზიტები (სახელი, გვარი, მისამართი) და მის მიერ გამოყენებული სიმბოლო ან დევიზი;
7. ორივე კონვერტი უნდა მოთავსდეს ავტორის მიერ დალუქულ ერთ პაკეტში (კონვერტში), რომელზეც უნდა გაკეთდეს შემდეგი სახის წარწერა:

ქ. თბილისი, ლეონიძის 3/5, საქართველოს ეროვნულ ბანკს, **"საკონკურსოდ"**.

**კონფიდენციალური ინფორმაცია**.

8. საკონკურსო მასალები მითითებულ ვადაში პირადად უნდა ჩააბაროს კონკურსანტმა საქართველოს ეროვნული ბანკის სალაროს ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის სამმართველოს დიზაინერს ვიქტორია ქუთათელაძეს და სათანადო ჟურნალში დაადასტუროს ხელმოწერით (ტელ.: 442 354)*;
9. წარმოდგენილი ესკიზები კონკურსის შემდეგ არ უბრუნდება ავტორს.

*საქართველოს ეროვნული ბანკი*

* შენიშვნა: ევრობანკნოტების დიზაინის შექმნაში მონაწილე პირებისაგან საკონკურსო მასალები შეიძლება მიღებულ იქნეს ფოსტით.


# ოპოზიციის მორიგი ბრალდება

პირველი გვერდიდან

შეამკო ბალათურიამ დეპუტატობის კანდიდატი ბიძინა ბრეგაძე და შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

პრაიმერის კომისიის გუშინდელი პრესკონფერენცია ხელისუფლების მხილებით არ შემოფარგლულა. ოპოზიციამ ცესკო-ს სპეციალური მიმართვის ტექსტი გაუგზავნა და შესთავაზა, რომ 17 სექტემბრის წინასწარი არჩევნებისთვის დაუთმოს საარჩევნო უბნებისათვის გამოყოფილი ფართი და ინვენტარი. **"იმედი გვაქვს, აღნიშნულ საკითხზე მიღწეული შეთანხმება საფუძველს დაუდებს კონსტრუქციულ თანამშრომლობას ცესკო-სა და ოპოზიციურ პარტიებს შორის,"** - ნათქვამია მიმართვის ტექსტში.

"24 საათის" შეკითხვამ - რატომ ეთქვა უარი ედპ-ს პარალელურ ხმების დათვლაში მონაწილეობაზე? - ყოფილი ედეპელი ჯონდი ბალათურია ააღელვა: **"ჩვენ ამდენი ხნის განმავლობაში ყველას ვუხმობდით..."** ბალათურიას თქმით, ედპ ოპოზიციის ინიციატივას არ გამოეხმაურა. ბალათურიას მღელვარება მამუკა კაციტაძემ გააწონასწორა. მისი განმარტებით, მაღალრეიტინგული ოპოზიციური პარტიების გადაწყვეტილებით, ედპ-ს პრაიმერში ჩართვის საშუალება არ მიეცა. აქედან გამომდინარე, იგი ვერც პარალელური ხმების დათვლაში მიიღებს მონაწილეობას.


ვახო ხეცურიანის ფოტო

გუშინდელი პრესკონფერენცია ხელისუფლების მხილებით არ შემოფარგლულა.

ოპოზიციური ცესკო-ს ინფორმაციით, პრაიმერის შედეგები 19 სექტემბრის 20 საათისთვის გაირკვევა.

# ეროვნულ-დემოკრატებისთვის გაერთიანებული ოპოზიციის პასუხი გაუგებარი აღმოჩნდა

ორი დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ, რომელმაც შუალედურ არჩევნებში ერთიანი კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერის ჩატარება გადაწყვიტა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თხოვნა ყურად არ იღო და მას, პრაიმერის ხმების დათვლაში მონაწილეობაზე უარი განუცხადა. თავისი უარი კი ოპოზიციონერებმა ასე ახსნეს - პრაიმერი ოთხი პარტიის საქმეა და მასში სხვა პარტიების მონაწილეობა მიზანშეწონილი არ არისო. "კონსერვატორმა" ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, რომ ხმების დათვლის უფლება მხოლოდ პრაიმერში მონაწილე პარტიებს აქვთ. ამავე დროს, გაერთიანებული ოპოზიცია მიესალმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეორე ინიციატივას, რომელიც შიდაოპოზიციურ არჩევნებში მონაწილე პარტიებთან ნდობის მემორანდუმის გაფორმებას შეეხება.

ოპოზიციის პოზიცია ეროვნულ-დემოკრატებისთვის გასაგები არ აღმოჩნდა. როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, ისნის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გოგა გოგნიაშვილმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, ეროვნულ-დემოკრატებისთვის ოპოზიციონერი კოლეგების უარი ოდნავ სასაცილოც კი იყო; - **"ალბათ ჰგონათ, რომ ხმების დათვლისას არჩევნების შედეგებს გავაყალბებთ."**

თავად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრები კი სულ მალე ბაკურიანში გაემგზავრებიან, სადაც მათ საერთაშორისო ორგანიზაცია **IRI** ტრენინგებს ჩაუტარებს. შეგახსენებთ, რომ, პარტიის ერთობლივი გადაწყვეტილებით, შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში ედპ მხოლოდ ერთ კანდიდატს წარადგენს - ისნის რაიონში კენჭს გოგა გოგნიაშვილი იყრის.

*24 საათი*

# რუსთაველი მძღოლების ბუნტი

მაია მოსიაშვილი

თბილისის ქუჩების ზედმეტი ტრანსპორტისგან განტვირთვის პროცესს, შესაძლოა, რუსთავში ერთგვარი სოციალური ბუნტი მოჰყვეს. საქმე ისაა, რომ ამ პროექტის თანახმად, რუსთავიდან დედაქალაქისკენ მოძრავი ყველა სამარშრუტო მიკროავტობუსი ორთაჭალის სადგურში უნდა შევიდეს. თბილისის მერიამ ეს დადგენილება ჯერ კიდევ 2004 წლის აგვისტოში მიიღო და ის ძალაში რამდენიმე დღეში, ანუ მაშინ შევა, როცა თბილისი კიდევ 500 ავტობუსით გამდიდრდება.

ქალაქი რუსთავი თბილისიდან 7 კილომეტრში მდებარეობს. სწორედ ამის გამო, ათასობით რუსთაველს რეგულარული სამსახური დედაქალაქში აქვს. რუსთაველი გადამზიდავების ინფორმაციით, მათ ყოველდღიურად 15 ათასი რუსთაველი გადაჰყავთ, ხოლო დილაობით რუსთავიდან თბილისისკენ ყოველ ერთ წუთში მგზავრებით სავსე 6 მიკროავტობუსი გადის. მძღოლები ხაზგასმით აცხადებენ, რომ მგზავრთა დიდი წილი სტუდენტებზე მოდის.

ამჟამად რუსთავ-თბილისის ხაზზე 6 გადამზიდავი ფირმის 200-მდე მიკროავტობუსი და "იკარუსის" ტიპის რამდენიმე ავტობუსი მუშაობს. ამას ემატება 100-ზე მეტი ტაქსიც, რადგან არსებული სახაზო ტრანსპორტი თბილისში მიმავალთა ნაკადს ვერ აუდის.

გუშინ რუსთავის მერიაში ადგილობრივი გადამზიდავები თბილისის მერიის ტრანსპორტის სამმართველოს უფროსს ზურაბ ჩიკვილაძეს შეხვდნენ. ჩიკვილაძემ რუსთაველ მძღოლებს განუცხადა, რომ თბილისის მერიის დადგენილების მათ სასარგებლოდ კორექტირება არ მოხდება და ისინი ორთაჭალის სადგურში შევლენ, სადაც გადამზიდავებისთვის და მგზავრებისთვის ყველა საჭირო პირობა იქნება შექმნილი. ამის დასადასტურებლად ჩიკვილაძეს შეხვედრაზე სადგურის დირექტორი ჰყავდა მიყვანილი, რომელმაც ისიც კი არ იცოდა, რა რაოდენობის ტრანსპორტისა და მგზავრების მიღება მოუწევს რუსთავიდან.

**- რაში უნდა აინტერესებდეს, საიდან უნდა იცოდეს, რამდენი ავტობუსი და მგზავრი იქნება აქედან?!** - ასე დაიცვა სადგურის უფროსი კითხვებით გაღიზიანებულმა ჩიკვილაძემ.

რუსთაველი მძღოლები თითქმის შეგუებულები არიან იმას, რომ ძველებურად ველარ იმოძრავებენ თბილისში. მათი მთავარი მოთხოვნაა, რომ ყველა გადამზიდავი თანაბარ პირობებში იყოს. საქმე ისაა, რომ 6 გადამზიდავიდან მხოლოდ ერთი, სახელმწიფო შპს "რუსთავტრანსი" ისარგებლებს ძველი მარშრუტით, ანუ შევა დედაქალაქში. "რუსთავტრანსს" "იკარუსის" ტიპის, საკმაოდ მოძველებული ავტობუსები ჰყავს.

**"ჩვენ მზად ვართ ჯანსაღი კონკურენციისთვის. მოვითხოვთ, რომ აკრძალვა ყველაზე ერთნაირად განხორციელდეს,"** - ამბობენ მიკროავტობუსების მძღოლები.

რუსთავის ტრანსპორტის სამსახურის უფროსის გოჩა ოკრიბელაშვილის განცხადებით, თბილისმა რუსთავის ტრანსპორტის საკითხი ჯეროვნად უნდა შეისწავლოს, რადგან არასწორი გადაწყვეტილება უფრო დიდ საექსპლუატაციო და დისპეტჩერიზაციის პრობლემებს შექმნის - შესაძლებელია, ხალხის დიდი ნაკადი ორთაჭალაში დაგროვდეს და მათი დროულად გაყვანა ვერ მოხერხდეს.

თბილისის მიკროავტობუსების რიცხვის შემცირებას წინ უძღოდა მძღოლებთან კონსულტაციები და მათთვის სხვადასხვა ალტერნატივის შეთავაზება. რუსთავში ეს პროცესი არც დაწყებულა, რაც სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებს.

**"სამწუხაროდ, რუსთავის შესაბამისმა სამსახურმა მათ აქამდე არ შესთავაზა ალტერნატივა და მძღოლები სამართლიანად უჩივიან ადგილობრივ სამსახურს. ამჟამად დავალება მიცემულია და დაიწყება მუშაობა, რომ მოხდეს ან გამსხვილება, ან სხვა ალტერნატივის შემუშავება,"** - განაცხადა რუსთავის მერმა დავით ნადაშვილმა.

რუსთაველი მძღოლები თავის მხრივ ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებენ. მათ უკვე ჰყავთ ადვოკატი, სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავენ და აცხადებენ, რომ, თუ მათი ინტერესების სრული იგნორირება გაგრძელდება, ათასობით რუსთაველ მგზავრთან ერთად, საპროტესტო აქციებს დაიწყებენ.

# ყაჩაღობაში ბრალდებულებს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ

გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა 15 აგვისტოს კოსტავას ქუჩაზე მდებარე ლომბარდზე მომხდარ ყაჩაღობაში ბრალდებულებს.

საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენილი იყო ყაჩაღობაში ბრალდებული ხუთივე დაკავებული - 28 წლის შოთა დგებუაძე, 24 წლის გიორგი გახოკია, 19 წლის დავით ჟვანია, 19 წლის თემურ პაპასკირი და 24 წლის გიორგი ხორგუანი. პროცესის მიმდინარეობისას სასამართლოს შენობაში უსაფრთხოების საგანგებო ზომები იქნა მიღებული - პროცესი, რომელზე დასწრებაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო, სპეცდანიშნულების რაზმის წევრების თანხლებით მიმდინარეობდა. ხუთეულისთვის წაყენებულ ბრალდებათა სია საკმაოდ შთამბეჭდავია - ყაჩაღობა, მძევლების აყვანა, მკვლელობის მცდელობა და იარაღის უკანონო ტარება. როგორც ცნობილია, ისინი 15 აგვისტოს, დილის 10 საათზე ლომბარდის შენობაში შეიჭრნენ, დაჭრეს დაცვის პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც მაინც მოასწრო სიგნალიზაციის ღილაკისთვის ხელის დაჭერა. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველების გამოჩენის გამო, ყაჩაღებმა ლომბარდში მომუშავე სამი ადამიანი მძევლად აიყვანეს. თუმცა, სამართალდამცველებსა და დამნაშავეებს შორის გამართული მოლაპარაკების შემდეგ თავდამსხმელებმა სამივე მძევალი გაათავისუფლეს. მძევლები არ დაშავებულან. აღსანიშნავია, რომ დაკავებისას ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა თემურ პაპასკირმა თვითმკვლელობა სცადა. მან დანით ვენები გადაისერა.

*24 საათი*

# სულხან მოლაშვილის სასამართლო პროცესი კვლავ გადაიდო

თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის სასამართლო პროცესი გუშინ, განსასჯელის გამოუცხადებლობის გამო, გადაიდო. როგორც სასამართლოში განაცხადეს, პროცესზე წარმოდგენილი იქნა ცნობა მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ. იმავე მიზეზით იქნა გადადებული გუშინწინდელი სხდომა. გუშინ სასამართლო პროცესზე, სავარაუდოდ, მოლაშვილის საბრალდებო დასკვნის კითხვა უნდა დასრულებულიყო. როგორც ცნობილია, სულხან მოლაშვილი თბილისის პროკურატურის თანამშრომლებმა 2004 წლის 23 მარტს დააკავეს. მას ბრალად ედება თანამდებობრივი მდგომარეობის არაერთგზის ბოროტად გამოყენება. გამოძიების მიხედვით, მოლაშვილმა თავისი დანაშაულებრივი ქმედებებით სახელმწიფოსა და იურიდიულ პირებს 3 მილიონი ლარის ოდენობის ზარალი მიაყენა.

*24 საათი*

## მოკლედ

### თბილისის მერმა ადმინისტრაციული ინსპექციის ახალი უფროსი წარადგინა

თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსი ლაშა მაქაცარია წარადგინა. მაქაცარია შს სამინისტროს საკონსტიტუციო უსაფრთხოების დეპარტამენტის ერთ-ერთ სამმართველოს ხელმძღვანელობდა.

როგორც ქალაქის მერმა განაცხადა, ლაშა მაქაცარიას კანდიდატურაზე სწორედ მისი გამოცდილების გამო შეაჩერა ყურადღება. "მას აქვს ერთიანი ხედვა, თუ როგორ უნდა გამახვილდეს დედაქალაქში ყურადღება ადმინისტრაციული კუთხით", - აღნიშნა მერმა.

უგულავას განცხადებით, უახლოეს მომავალში ადმინისტრაციულ ინსპექციაში სამი სამსახური გაერთიანდება. ეს იქნება თავად ადმინისტრაციული ინსპექცია, რომელსაც სანიტარიული ფუნქცია დაემატება და ასევე ეკონომიკის სამინისტროდან არქმშენინსპექციის ფუნქციაც შეუერთდება და შეიქმნება ერთიანი საქალაქო ზედამხედველობის ინსპექცია. **ინტერპრესნიუსი**

### აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი 23 ბავშვი საბერძნეთში დაისვენებს

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და საბერძნეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ინიციატივით, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი 23 ბავშვი 23 აგვისტოდან 13 სექტემბრის ჩათვლით საბერძნეთში დაისვენებს.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ბავშვების ტრანსპორტირებისთვის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 9 915 ლარს გამოყოფს. დანარჩენ ხარჯებს საკუთარ თავზე საბერძნეთის განათლების სამინისტრო იღებს.

როგორც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა განაცხადა, ამ პროექტის განხორციელება საბერძნეთში საქართველოს საელჩოს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ურთიერთშეთანხმებული მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

23 ბავშვთან ერთად საბერძნეთში 2 მასწავლებელი გაემგზავრება. **ინტერპრესნიუსი**

### რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე აფხაზეთში იმყოფება

რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე სამშვიდობო ოპერაციებში, გენერალი ვალერი ევნევიჩი აფხაზეთში იმყოფება და სამშვიდობო ძალების ინსპექტირებას ახორციელებს.

როგორც ჟურნალისტებს აცნობა სამშვიდობო ძალების პრეს-ჯგუფის უფროსმა ლევონ არაზნოვმა, გენერალი ევნევიჩი აფხაზეთში სამ დღეს დარჩება და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალების ნაწილებსა და ქვედანაყოფებს ეწვევა.

რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილის აფხაზეთში ვიზიტი სეპარატისტების მიერ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში დაწყებულ ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს დაემთხვა. **პრაიმ-ნიუსი**

### სოხუმი თბილისს უსაფრთხოების ხელშეკრულების გაფორმებას სთავაზობს

აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში ქართულ მხარეს კონსენსუსის მიღწევას და უსაფრთხოების ხელშეკრულების გაფორმებას სთავაზობს.

ოთხშაბათს მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ბაგაფშმა განაცხადა, რომ ასეთი ხელშეკრულების გაფორმება სავსებით რეალურია.

მისი თქმით, "მხარეთა პოზიციები დღეისთვის პერსპექტიულია და ამ თვალსაზრისით შეიძლება კონსენსუსის მიღწევა, ანუ არის იმის შესაძლებლობა, რომ აფხაზეთსა და საქართველოს შორის ხელი მოეწეროს უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულებას".

"ჩვენ მხარს ვუჭერთ ლოგიკურ მოქმედებას, მშვიდობიანი დიალოგის გაგრძელებას", - დასძინა ბაგაფშმა. მან აღნიშნა, რომ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა თბილისსა და სოხუმს შორის ჯერ კიდევ არსებობს.

ამავე დროს, სერგეი ბაგაფშმა განაცხადა, რომ აფხაზეთის მოძრაობა რუსეთში ასოცირებულ წევრად მიღებისკენ გრძელდება.

ბაგაფშმა აღნიშნა, რომ ამჟამად მიმდინარეობს აფხაზეთის კანონმდებლობის რუსეთის კანონმდებლობასთან სინქრონიზაციის პროცესი. **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ფიფია ხელისუფლებას სამეგრელოს რეგიონისადმი ცინიკურ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს.

გუშინ გამართულ ბრიფინგზე ფიფიამ ზუგდიდის გამგებელი ალექსანდრე ქობალია და მისი მამა, პარლამენტის წევრი გრიგოლ ქობალია რეგიონის კლანური პრინციპით მართვაში ამხილა და დაასახელა უკანონო ქმედებების ფაქტები, რამაც, მისი თქმით, ზუგდიდის რაიონსა და მთლიანად რეგიონში ქაოსური ვითარება შექმნა. **პრაიმ-ნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# არალეგალური მიგრაცია - კრიმინალის ექსპორტი

პირველი გვერდიდან

### ქართველ არალეგალთა "საოცნებო ქვეყანა"

საკონსულო დეპარტამენტის მიერ მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეკრებილი მონაცემები, რა თქმა უნდა, ზუსტი არ გახლავთ, მაგრამ ამ მონაცემებით ზოგადი სურათი იხატება და შეიძლება თქმა, რომ ქართველ არალეგალთა რუსეთში ცხოვრების მოთხოვნილება ძალზე დიდია. საქართველოს მოქალაქე ემიგრანტთა რიცხვი დსთ-ს სივრცეში ბევრად აჭარბებს იმ მოქალაქეთა რიცხვს, რომლებიც ევროპის, ამერიკის თუ საზღვარგარეთის ქვეყნებში არიან ემიგრირებული.

რუსეთსა თუ დსთ-ს სხვა ქვეყნებში, დროებით თუ მუდმივად ემიგრირებულ საქართველოს მოქალაქეთა ზუსტი ციფრის დადგენა შეუძლებელია. სხვადასხვა წყაროები სხვადასხვა მონაცემებს ასახელებენ. ეს ციფრი 300 ათასიდან მილიონს აღწევს. საქართველოს მოქალაქეთა გადინების პროცესი ევროპის მიმართულებით 1991 წელს დაიწყო. საკონსულო დეპარტამენტის მონაცემებით, 1991 წელს, საქართველოს 8 მოქალაქემ თავშესაფარი მოითხოვა ჩეხეთში, მას შემდეგ საქართველოდან არალეგალური მიგრაცია მოედო მთელ რიგ ქვეყნებს ევროპასა და ამერიკაში.

1991-2004 წლებში ევროპასა და ამერიკაში საქართველოს მოქალაქეთა მიერ თავშესაფრის ძიების სტატისტიკური მაჩვენებლებით, რომელიც, გაერო-ს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის მონაცემებზე დაყრდნობით, შედგენილია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, საქართველოს მოქალაქეებმა თავშესაფრის თხოვნით 56 152-ჯერ მიმართეს ევროპისა და ამერიკის შესაბამის სტრუქტურებს.

თუმცა, ძალზე ბევრს თავშესაფრის თხოვნით არ მიუმართავს არც ერთი სახელმწიფოსთვის. ამიტომაც ამ რიცხვს აუცილებლად 2-3-ჯერ უნდა აჭარბებდეს თავშესაფრის არამაძიებელთა რიცხვი (განსაკუთრებით თურქეთ-საბერძნეთში), რომელთა მიზანიც მხოლოდ დროებითი არალეგალური სამუშაოს პოვნაა და არა თავშესაფრის მიღება.

საკონსულო დეპარტამენტის მიერ გაკეთებული დასკვნით, ქართველ არალეგალთა რიცხვი ევროპა-ამერიკის ქვეყნებში ასეულ ათასზე ბევრად უფრო მეტი უნდა იყოს.

საქართველოს საკონსულოს არაოფიციალური შეფასებით, დღეისთვის აშშ-ში 40-50 ათასი ქართველი არალეგალი უნდა იმყოფებოდეს.

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემებით კი, ბოლო წლების განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყნები საქართველოში ახდენენ საშუალოდ 1500 საქართველოს მოქალაქის დეპორტაციას. გამოუვლენელ დეპორტთა რიცხვი კი, ყოველწლიურად 150 ათასი უნდა იყოს.

ამ მონაცემების მიხედვით, საქართველოდან წასულ არალეგალთა საოცნებო ევროპული ქვეყანა აშკარად გერმანიაა, მასში მოხვედრის მსურველთა რაოდენობა სამჯერ უსწრებს სხვა ქვეყნებს. გერმანიის შემდეგ პოპულარობით სარგებლობენ საფრანგეთი, ავსტრია, ბელგია, შვეიცარია, ჰოლანდია.

1991-1997 წლებში ქართული არალეგალური მიგრაციის ძირითადი სამიზნე ქვეყნები ჰოლანდია და გერმანია იყო.

1998-1999 წლებში სამიზნე ქვეყნა გახდა შვეიცარია და ადგილი ჰქონდა ესპანეთის სამიზნე ქვეყნად გადაქცევის მცდელობას.

2000 წელს არალეგალური მიგრაციის ყურადღებას იპყრობს ბელგია, ხოლო 2001 წელს ჩეხეთი.

2001 წელს დაიწყო საფრანგეთის, ავსტრიის, შვეციის, ნორვეგიის ათვისება.

2003-2004 წლებიდან გამოიკვეთა ახალი სამიზნე სახელმწიფოები - სლოვაკეთი, უნგრეთი, კვიპროსი და სლოვენიაც. გამოიკვეთა ასევე ახალი სატრანზიტო მარშრუტებიც - უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთის სახით. მაგალითად, ბელორუსიის მიგრაციის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოს არალეგალ მოქალაქეთა რიცხვმა 2004 წელს გადააჭარბა 1000-ს, რაც წინა წლებში არ ფიქსირდებოდა. იგივე ვითარებაა უკრაინაშიც.

არსებული მონაცემებით, 2003-2004 წლებში არალეგალური მიგრაციის ტალღის უმნიშვნელო, მაგრამ აშკარა კლებაა, რაც პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს ქვეყანაში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს და ახალი პერსპექტივებისა და იმედების გაჩენას მოსახლეობისთვის.







### არალეგალური მიგრაცია და საქართველოსკენ მომართული საფრთხეები

საქართველოში - არალეგალთა წარმომშობ ქვეყანაში, არალეგალური მიგრაცია საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული და უკანონო შემოსავლების წყაროდაცაა ქცეული. ანუ, ყველა ის საფრთხე, რასაც წარმოშობს ეს დანაშაულებრივი პროცესი, რეალურია საქართველოსთვის და ეს მდგომარეობა უკვე სახეზეა.

არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული ერთ-ერთი უსერიოზულესი საფრთხე საერთაშორისო ტერორიზმია.

ასევე, არალეგალური მიგრაცია, მოსახლეობის ყველაზე შრომისუნარიანი და აქტიური ასაკის მქონე ნაწილის ქვეყნიდან წასვლით, რეალურად უქმნის სერიოზულ საფრთხეს საქართველოს დემოგრაფიასა და ეკონომიკას. ევროპის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელ საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა 18-40 წლის ასაკისაა.

**"ჩვენთვის ცნობილია არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებით სახელმწიფო მოხელეთა კორუფციაში მხილების არა ერთი შემთხვევა. ცნობილია, რომ საქართველოში მზადდება ყალბი დოკუმენტაცია, მიმოქცევაშია "შავი ფული" და რაც ყველაზე საგანგაშოა, განვითარებულია ტრეფიკინგი. დასკვნა მარტივია, ყველა ის კრიმინალი, რაც დაკავშირებულია არალეგალურ მიგრაციასთან, მიუხედავად იმისა, ის საქართველოში გამოვლენილია თუ არა, მაინც გავრცელებულად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო გამოუვლენელი კრიმინალის სახეობები სახელმწიფო სტრუქტურების არაკოორდინირებულ, სუსტ ფუნქციონირებას უნდა მივაწეროთ და არა მათ არარსებობას (მაგალითად, საქართველოში ჯერჯერობით არ გამოვლენილან "წმინდა" არალეგალთა საზღვარზე გადაყვანის ორგანიზატორები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობენ).**

**არსებობს კიდევ ერთი საფრთხის სახეობა, რომელსაც არალეგალური მიგრაცია უქმნის საქართველოს, ეს არის მისი საერთაშორისო იმიჯი, რომელსაც არალეგალები დიდ ზიანს აყენებენ,"** - წერია საკონსულო დეპარტამენტის დასკვნაში, სადაც წაიკითხავთ იმასაც, რომ ერთი არალეგალი დასავლეთში წასვლის მოტივად უთითებდა "საქართველოს პატრიარქის მიერ მისი მკვლელობის შეკვეთას"; მეორე "სექსუალური ორიენტაციის გამო სახელმწიფოს მხრიდან დევნას," მესამე "იბრალებდა აფხაზობას და ამის გამო შევიწროებას".

**"მოსამართლე ყურებს არ უჯერებს, რადგან მოსმენილი ჯეიმს ბონდის ფილმს უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს. გერმანიაში დაუჯერებელია ასეთი რამ მოხდეს. მოსამართლეს აოცებს ბადრი ფ....ს ისტორია, რომელიც სასამართლოში ჩივის და პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს. მან კი უნდა გადაწყვიტოს, დარჩება მომჩივანი გერმანიაში თუ საქართველოში დაბრუნდება,"** - წერს ერთ-ერთი გერმანული გაზეთი. ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IGFM) ნორდ-ვესტფალიის პარლამენტში წარადგინა მოხსენება საქართველოში იეზიდთა უფლებების შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ **"იეზიდებს საჯარო სამსახურში არ იღებენ, არც კერძო ოფისებშია მათი ადგილი. ინსტანციები მათ არ აძლევენ საკუთარი ბიზნესის წარმოების უფლებას. იეზიდები ვერც განათლებას ღებულობენ. უმაღლესი სასწავლებლები მათთვის დაკეტილია. იეზიდ ბავშვებს მათი თანატოლები სცემენ. ხშირად მშობლები შვილებს სკოლებში არ უშვებენ მათზე თავდასხმის შიშით. იეზიდები პოლიციის ძალადობის მსხვერპლიც ხდებიან. იეზიდებისაგან საქართველოს დატოვებას მოითხოვენ. ხშირია ცემის ფაქტები. არ ინდობენ არც ორსულებს და არც ასაკოვნებს. იეზიდ ლტოლვილთა ჩვენებები დამაჯერებელია, თუმცა ისინი შესაძლებელია ზედაპირულად იყოს აღწერილი, რის გამოც ფედერალურ საიმიგრაციო სამსახურს არ გააჩნია ნათელი სურათი ლტოლვილთა იძულებით გადაადგილების შესახებ"**.

### ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის წესები

არალეგალური მიგრაციის - ამ ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ახლა მთელი მსოფლიო იბრძვის. საქართველოს ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ გააჩნია პროგრამა, რომლითაც ამ პრობლემის დარეგულირებას დაიწყებდა. არადა, არალეგალური მიგრაცია, რომელიც მსოფლიო მასშტაბებთან შედარებით, საქართველოში ჯერ კიდევ ჩანასახის სტადიაშია, უახლოეს მომავალში გლობალურ საფრთხეს შეუქმნის საქართველოსაც.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტმა არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის პროექტი შეიმუშავა. მასში ჩამოყალიბებული ძირითადი მიმართულებები ჯერ კიდევ სერიოზულ დამუშავებას საჭიროებს. ესენია:

1. მიგრაციული პროცესების და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრალური მაკოორდინირებული ორგანოს შექმნის აუცილებლობა;
2. საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და მისი ჰარმონიზება ევროკავშირის სტანდარტებთან;
3. მონაცემთა ბანკისა და საინფორმაციო-სააღრიცხვო სისტემის შექმნა;
4. საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესება და რიგი სხვა სახის კონტაქტების გაღრმავება, პირველ რიგში, ევროპულ (მათ შორის მეზობელ) სახელმწიფოებთან;
5. საკონსულო საქმიანობის გაუმჯობესება, დაგეგმვა-ანალიზის გზით;
6. სახელმწიფო საზღვრის კონტროლის სისტემის გაუმჯობესება და დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან.

# ნარკომანიის საზოგადოებრივი ფასი

გაგრძელება A3 გვერდზე

**"ეს სისტემა ასე ვერ იმუშავებს. არც მკურნალობაზე, არც ზედამხედველობაზე დაფინანსება არ გვაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი სამართალდამცავი სისტემა ვერ მუშაობს. წელს ბიუჯეტში ჩადებული თანხა მხოლოდ ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით, ანუ პროფილაქტიკისთვის იყო ჩადებული. ადრე, 450 ათას ლარს იმეტებდნენ. მართალია, ეს თანხა სრულად არასდროს მიგვიღია, მაგრამ 200-300 კაცის მკურნალობას ვახერხებდით,"** - გვითხრა გელა ლეჟავამ, რომელიც მიიჩნევს, რომ აუცილებელია იმ პროგრამების დაფინანსება მაინც, რომლის მეშვეობითაც ფსიქიკური პრობლემების მქონე ნარკომანებსა და ალკოჰოლიკებს დაეხმარებიან.

ნარკომანია ავადმყოფობად საქართველოს პარლამენტმა 2002 წელს აღიარა. აღიარების გარდა, ნარკომანების საკეთილდღეოდ სხვა არაფერი გაკეთებულა.

ნარკოლოგიურ ცენტრს, ერთი წლის განმავლობაში, საშუალოდ 500 პაციენტი სტუმრობს. ეს ის კატეგორიაა, რომელსაც მკურნალობა საკუთარი სურვილით აქვთ გადაწყვეტილი და გადაწყვეტილებას ფინანსური მდგომარეობაც "უმაგრებს". მკურნალობა რამდენიმე ეტაპადაა დაყოფილი. პირველი, 15-დღიანი მკურნალობა, 800 ლარი ჯდება. მეორე ეტაპი ბევრად ხანგრძლივია, 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობს და იგივე თანხა ჯდება. **"პირველ ეტაპზე გაცილებით მეტი პაციენტი მკურნალობს, მაგრამ შემდეგ იშვიათად განაგრძობენ დაწყებულ საქმეს. ძირითადად, გამოჯანმრთელების რწმენა არ აქვთ. ასევე არ ჰყოფნით ნებისყოფა, რომ მკურნალობის კურსი ბოლომდე ჩაიტარონ,"** - ამბობს გელა ლეჟავა. თუმცა, ამ დაავადებამ ბოლომდე განკურნება არ იცის, რადგან ნარკომანია ქრონიკული დაავადებაა. განკურნებას ნარკოტიკების მიღების შეწყვეტა ჰქვია, რასაც ნებაყოფლობით მისული პაციენტების მხოლოდ 15 პროცენტი ახერხებს. აღსანიშნავია, რომ ნარკოლოგიურ ცენტრში 18 წლის და ზემოთ ავადმყოფები მიდიან. მათი უმრავლესობა "სუბოტექსით" "კაიფობს", თუმცა ნარკომანები არც ჰეროინსა და სხვა ოპიატებზე ამბობენ უარს. მარიხუანა კი, ყველა ასაკის ადამიანისთვის "მიღებული" ნარკოტიკია.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის იმედი აქვს გელა ლეჟავას. როგორც მისგან შევიტყვეთ, ჭიპაშვილს ამ პრობლემის მოსაგვარებლად სერიოზული პროგრამა ჰქონია შემუშავებული, რომელიც აქამდეც უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ დროებით შეჩერებულია და ლეჟავა იმედოვნებს, რომ **"მინისტრის მონახაზი სექტემბერში ფრთებს შეისხამს."**

ნარკომანების გარკვეული ნაწილი, საკუთარ "საქმიანობას" უსაქმურობით ხსნის. მათ "უსაქმურობას" ფსიქოლოგები სიცოცხლის საზრისის არქონას უწოდებენ.

**"ნარკომანის ქცევა იმითაა ნიშანდობლივი, რომ იგი რაღაცას, მისთვის საინტერესოს აკეთებს. ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი მიმართულება ლოგო-თერაპიაა, რომელიც ადამიანს თავისი საზრისის პოვნაში ეხმარება. ლოგოთერაპიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ფრანკლი მეოცე საუკუნეს უსაზრისო საუკუნედ აფასებს, სწორედ ეს არის ახსნა თავად ნარკომანიისა,"** - ამბობს ფსიქოლოგი მზია გომელაური.

ამდენად, ნარკომანია ავადმყოფობაცაა და სოციალური დაავადებაც, რადგან ცნება "ყოფილი ნარკომანი" არ არსებობს. ქრონიკული დაავადება ხომ მაშინვე იჩენს თავს, როდესაც ადამიანი უსაზრისობის შევსებაზე დაიწყებს ფიქრს.

# 1000 ლარი ნარკოტიკების რეალიზატორების გამოვლენისთვის

პირველი გვერდიდან

საზოგადოების გააქტიურების იმედს კი მინისტრს ის ჯილდო აძლევს, რომელსაც ინფორმაციის მიმწოდებელი მიიღებს. ინფორმაციის მიწოდება კი იმ სატელეფონო ცხელი ხაზის საშუალებით იქნება შესაძლებელი, რომელიც უკვე ერთ კვირაში ამოქმედდება.

**"ამავე დროს, ჩვენ უნდა მოვახერხოთ ნარკომანების საზოგადოებიდან გარიყვა. მათ საქართველოში თავი კომფორტულად ვერ უნდა იგრძნონ. სამწუხაროდ, წლების მანძილზე ასეთი კატეგორიის ადამიანები ჩვენთან პოპულარულები იყვნენ. გარწმუნებთ, ყველას, ვინც ცხელი ხაზის საშუალებით ინფორმაციას მოგვაწვდის, ანონიმურობა გარანტირებული ექნება"**, - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

აღსანიშნავია, რომ გუშინვე, როცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ზემოთ მოყვანილი განცხადებები გააკეთა, თბილისის ქუჩებში, კერძოდ - ნაძალადევის, ვაკისა და საბურთალოს რაიონების რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსის და სახლის შესასვლელებთან გაჩნდა წარწერა "ამ სახლში ცხოვრობს წამლის ბარიგა".

ამ წარწერის რამდენიმე ადრესატმა ქართულ ტელეკომპანიებთან ინტერვიუში კატეგორიულად გამორიცხა მათი რაიმე სახის კავშირი ნარკოტიკებთან და სახალხო დამცველისთვის მიმართვაც არ გამორიცხა.

საცხოვრებელი კორპუსების მცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ ეს წარწერები საშაბათს ღამით გაჩნდა და მათი წარმოშობის შესახებ არაფერი იციან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის და ჯერჯეროობით არც მოკვლევა დაწყებულა.

*24 საათი*

# დევნილის სტატუსი და გაეროსგან განაწყენებული ჩეჩნები პანკისში

პირველი გვერდიდან

სახალხო დამცველის, სოზარ სუბარის ვიზიტი პანკისის ხეობაში, ორმოცი დევნილისთვის იმ სტატუსის დაბრუნებას ისახავდა მიზნად, რომელიც მათ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ყოფილმა მოადგილემ ჯამბულ ხოზრევანიძემ, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, ჩამოართვა.

პანკისელი ალბერტ გაურგაშვილი, - **"სხვა ვერაფერი მიზეზი რომ ვერ მომიდო ხოზრევანიძემ, ბოლოს ასე მითხრა, საქართველოს მოქალაქე ხარო. მიუხედავად იმისა, რომ მას შინაგან საქმეთა სამინისტროდან დამამტკიცებელი დოკუმენტი წარვუდგინე, ჩემი მრავალრიცხოვანი ოჯახი მაინც დევნილის სტატუსის გარეშე დატოვა,"** - ამბობს ალბერტ გაურგაშვილი, რომელსაც ექვსი შვილი ჰყავს და 1985 წლიდან ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოქალაქეა. სოზარ სუბარის განცახდებით, საკითხის შესწავლა მის უწყებას, რამდენიმე თვე უხდებოდა. **"საბოლოოდ კი დადგინდა, რომ დაახლოებით ორმოცდაათ ადამიანს უკანონოდ ჰქონდა დევნილის სტატუსი ჩამორთმეული. ლტოვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად მუშაობის შემდეგ, 40 ადამიანს აღუდგა სტატუსი,"** - ამბობს სოზარ სუბარი.

მთავარი ჩეჩენი დევნილებისთვის მესამე ქვეყანაში გადასვლა და ინდივიდუალური დევნილის სტატუსის მიღებაა. ამასთან დაკავშირებით სოფელ დუისში უკვე მეორე დღეა, რაც საპროტესტო აქცია იმართება. ლტოლვილები მესამე ქვეყანაში გადასვლის სურვილს იმ მიზეზით ხსნიდნენ, რომ მათთვის საქართველოში ცხოვრების პირობები უკვე გაუსაძლისია. ჰუმანიტარული ტვირთი კი, რომლებიც მათ სახელზე იგზავნება, არასწორად ნაწილდება.

**"მესამე ქვეყანაში გადასვლით გვინდა, ჩვენს მომავალზე ზრუნვა, რადგან აქ არ გვაქვს ცხოვრების ნორმალური პირობები, სწავლა-განათლების საშუალება და სამსახური. მარტო გვპირდებიან. უცხოეთიდან ჩვენს სახელზე გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარებებიც არასწორად გვინაწილდება. რა აზრი აქვს ასეთ პირობებში ლტოლვილის საბუთის არსებობას?!"** - ამბობს ჩეჩენი დევნილი ვახა იზმაილოვი. დევნილების თქმითვე, მათ რუსეთის საინფორმაციო საშუალებები ყოველდღე აყენებენ შეურაცხყოფას. **"ძალიან შეურაცხმყოფელია რუსეთის მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციები, რომ აქ მხოლოდ ტერორისტები და მათი ოჯახები იმყოფებიან. ჩვენ რამდენიმე წელია, აქ ვცხოვრობთ და ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ უმნიშვნელო ნაბიჯიც კი არ გადაგვიდგამს. ჩვენ ვართ მშვიდობიანი მოსახლეობა და არა ტერორისტები,"** - ამბობდა ჩეჩენი დევნილები და საქართველოში გაერო-ს წარმომადგენლობას უმოქმედობაში ადანაშაულებენ. სწორედ ამის გამო, ჩეჩენი დევნილები გაერო-ს სათავო ოფისისგან, საქართველოს წარმომადგენლობის შემოწმებას მოითხოვენ.



*სახალხო დამცველმა მოშიმშილე დევნილებს დახმაება აღუთქვა.*

სახალხო დამცველმა მოშიმშილე დევნილებს დახმარება აღუთქვა, მაგრამ რამდენად დროულად მოხერხდება დევნილების მიერ წამოჭრილი პრობლემების მოგვარება, როგორც სოზარ სუბარი ამბობს, ძნელი სათქმელია, რადგან ამას დრო სჭირდება.

# ცხინვალის რეგიონში კიდევ ერთი ქართველი გაიტაცეს

ცხინვალის რეგიონში კიდევ ერთი ქართველის გატაცება გახმაურდა.

სოფელ არცევის მკვიდრი გოჩა ჯარმელიშვილი შეიარაღებულ პირებს წინათ ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების კონტროლირებადი ტერიტორიიდან ორი კვირის წინათ გაუტაცებიათ, მაგრამ გატაცებულის ოჯახის წევრებმა შიდა ქართლის სამხარეო პოლიციას ამის შესახებ მას შემდეგ შეატყობინეს, რაც გამტაცებლებთან გამოსასყიდის თაობაზე მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში ჯარმელაშვილის გატაცებაზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პოლიციამ ჯარმელაშვილის ოჯახის წევრები უნდა დაკითხოს. ერთ-ერთი ვერსიით, იოსებ ჯარმელაშვილის სანაცვლოდ, გორის ტერაქტებში ეჭვმიტანილებისა და ცნობილი კრიმინალის მარეკ დუდაევის გათავისუფლებას ითხოვენ, თუმცა არ გამორიცხავენ იმასაც, რომ ჯარმელაშვილი ბიზნესგარიგების მსხვერპლი იყოს; ასახელებენ გამოსასყიდ თანხასაც - 65 ათას დოლარს.

ოსური მხარე ზემო არცევის მკვიდრის გატაცების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

აღსანიშნავია, რომ ჯარმელაშვილი უკვე მეხუთეა, ვინც კონფლიქტის ზონაში გაიტაცეს. როგორც ცნობილია, 6 ივნისს ცხინვალში გატაცებული ოთხი ქართველის - ჰამლეტ, გალაკტიონ და მამუკა ხაჭაპურიძეებისა და მამუკა ლომიძის ადგილსამყოფელის შესახებ გატაცებიდან ორთვენახევრის შემდეგ ისევ არაფერია ცნობილი.

*მედიანიუსი*

# ოთარ ზალდასტანიშვილი



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 2005 წლის 9 აგვისტოს გარდაიცვალა მსოფლიოში ცნობილი ინჟინერ-მშენებელი, დოქტორი ოთარ ზალდასტანიშვილი. მეორე დღეს მას 83 წელი შეუსრულდებოდა. იგი გარდაიცვალა თავის აგარაკზე გრეით აილენდზე, მასაჩუსეტსის შტატში. ოთარ ზალდასტანიშვილი დაიბადა თელავში, 1922 წლის 10 აგვისტოს. 1924 წელს მამამისმა, პოლკოვნიკმა სოლომონ ნიკოლოზის-ძე ზალდასტანიშვილმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოში საბჭოთა დამპყრობლების წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში, რომელიც ბოლშევიკებმა სასტიკად ჩაახშეს. იმავე წელს ზალდასტანიშვილების ოჯახი გაიხიზნა საფრანგეთში.

ოთარ ზალდასტანიშვილი გაიზარდა პარიზში, სადაც, როგორც ცნობილია, საქართველოდან გაქცეულმა მთავრობამ დაიდო ბინა. 1944 წლის შემოდგომაზე, საფრანგეთისა და შვეიცარიის საზღვრის გადაკვეთისას იგი შეიპყრეს გერმანელებმა. მისი დაკავების ერთ-ერთი მიზეზი იყო ისიც, რომ გერმანელებს სურდათ სამშენებლო ტექნიკაში მისი უნიკალური გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენება. შემდგომ მან გაქცევა მოახერხა და სანამ საერთაშორისო წითელი ჯვრის დახმარებით საფრანგეთში დაბრუნდებოდა, რამდენიმე თვე გაატარა მალვაში ბერლინში, რომელიც მოკავშირეების მიერ იბომბებოდა.

მისი ადრეული საინჟინრო განათლება დაიწყო საფრანგეთში. მან მიიღო სამეცნიერო ხარისხები Ecole National des Ponts et Chausses -ში 1945 წელს და სორბონაში 1946 წელს. ოთარ ზალდასტანიშვილი 1946 წელს შეერთებულ შტატებში ჩავიდა, სადაც მან 1947 წელს მიიღო საინჟინრო გეოტექნიკის მეცნიერებათა მაგისტრის წოდება ჰარვარდში. 1950 წელს ასევე ჰარვარდში მას მიანიჭეს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი აეროდინამიკასა და ნიადაგის მექანიკაში. 1949 წელს მან მუშაობა დაიწყო კომპანიაში Nichols and Norton და გახდა მისი პარტნიორი 1952 წელს, 1964 წლიდან 1989 წლამდე იყო ამავე კომპანიის პრეზიდენტი და 1989 წლიდან 1997 წლამდე მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. 1971 წელს ფირმის სახელი შეიცვალა და დაერქვა Zaldastani Associates Incorporated. მისი კარიერის მანძილზე ზალდასტანიშვილს შესრულებული აქვს პროექტების რეკორდული რაოდენობა - მან იმუშავა 1000-ზე მეტ პროექტზე აშშ-ში, ევროპაში, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. ამ პროექტებს შორის იყო კოპლი ფლეისი (Copley Place), ლოგანის საერთაშორისო აეროპორტი ბოსტონში, ჰარვარდის უნივერსიტეტის სტადიონის აღდგენის პროექტი, ბრაუნის უნივერსიტეტში მიიჰანის აუდიტორია, ახალი ქალაქის ჯუბეილის გენერალური გეგმა საუდის არაბეთში და შეერთებული შტატების მემორიალი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ნორმანდიაში გადასხმის ადგილზე. იგი იყო პიონერი სამშენებლო კონსტრუქციების ტექნიკის განვითარებაში, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ავტოსტრადის ზედა სივრცის გამოყენება, სამაგალითოა 1972 წელს მასს თერნპაიკის ავტოსტრადის თავზე აშენებული ჰენკოკის გარაჟი და 10 წლის შემდეგ აგებული კოპლი პლაზა. მის სახელს მიეკუთვნება აგრეთვე მნიშვნელოვანი ინოვაციები უნიფიცირებული კონსტრუქციების კომპონენტებში. ზალდასტანი ასწავლიდა ჰარვარდში 1961 წლიდან და იყო Gგორდონ მაკკეის მიწვეული პროფესორი სტრუქტურულ მექანიკაში. მას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო საინჟინრო დარგში ისეთი ორგანიზაციებისგან, როგორიცაა ბეტონის კონსტრუქციების ინსტიტუტი, მეტალის კონსტრუქციების ამერიკული ინსტიტუტი, აშშ ტრანსპორტის დეპარტამენტი და რალფ დაბლიუ ჰორნ ფონდის ჯილდო სამოქალაქო ინჟინერიის ამერიკის საზოგადოებისგან (1979). იგი იყო უილოკის კოლეჯის, ბოსტონის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრისა და ბრუკსის სკოლის კურატორი.

მამამისის მსგავსად, ოთარ ზალდასტანიშვილი მგზნებარედ იღწვოდა ქართველი ერის დამოუკიდებლობის აღდგენისა და აღორძინებისთვის. მან უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოში განათლების, კულტურისა და ეკონომიკის განვითარების საქმეში. რვა წლის განმავლობაში იგი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი, რომელიც წარმოადგენს ეროვნულ ორგანიზაციას და რომლის საქმიანობა მიზნად ისახავს აშშ-ში საქართველოს და მისი კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩინებას. იგი იყო საქართველოს მთავრობის მრჩეველი, მჭიდროდ თანამშრომლობდა აშშ-ს გაერთიანებული სარდლობის ყოფილ თავმჯდომარესთან გენერალ ჯონ შალიკაშვილთან, აგრეთვე, აშშ-ს არმიის ყოფილ მინისტრთან მარტინ ჰოფმანთან, სხვა ცნობილ მოღვაწეებთან, რომლებთან ერთადაც მუშაობდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროექტებზე, მათ შორის შავ ზღვაზე, სუფსაში, ახალი პორტის აშენების გეგმაზე. იგი აქტიურად ეხმარებოდა თავის ძმას, გივი ზალდასტანიშვილს თბილისში ამერიკული აკადემიის შექმნაში, რომელიც წარმოადგენს ფილიპს ექსეტერის აკადემიის მოდელზე აგებულ სკოლას მაღალი კლასებისთვის. პირველმა ლედიმ, ლორა ბუშმა მოინახულა ეს სკოლა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტის დროს.

ოთარ ზალდასტანიშვილს დარჩა მეუღლე ელიზაბეტ რეილი ბეილი, ორი ქალიშვილი, ელიზაბეტ ზალდასტანი ნაპიერი და ანა ვაჩნაძე ზალდასტანი, აგრეთვე ვაჟიშვილი, ალექსანდრე ბეილი ზალდასტანი, ხუთი შვილიშვილი და უამრავი შესანიშნავი მეგობარი. დაკრძალვა შედგა 11 აგვისტოს Mმაუნთ ობურნის სასაფლაოზე ახლობლების თანდასწრებით. ოთარ ზალდასტანიშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი და წესის აგება აღევლინა 11 აგვისტოს თბილისში, ფერისცვალების ტაძარში.

ოთარ ზალდასტანიშვილი იყო ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და ბრწყინვალე წარმომადგენელი. მისი გარდაცვალება უდიდესი დანაკარგია მისი ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, სამშობლოსთვის.

## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო "ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს კონკურსს თევზის მეურნეობის შესაქმნელად თერჯოლის რაიონში მდინარე ყვირილას ქვემო მონაკვეთში 1100 ჰა ფართობზე.

გენერალური ლიცენზიის მიღებით დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განცხადებები და საკონკურსო მასალები გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

დამატებითი ინფირმაციისათვის მიმართეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N6, II სართული.

## საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო "ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს კონკურსს სამონადირეო მეურნეობების შესაქმნელად თიანეთის რაიონის სატყეო მეურნეობის არტაანის სატყეოს, ქარელის რაიონის სატყეო მეურნეობის გვერძინეთი-ტყემლოვანის სატყეო უბნისა და საგარეჯოს, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონებში ყორუღის, ივრისა და ჭაჭუნის სახელმწიფო ალკვეთილების ტერიტორიის ნაწილში.

გენერალური ლიცენზიის მიღებით დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განცხადებები და საკონკურსო მასალები გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

დამატებითი ინფირმაციისათვის მიმართეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N6, II სართული.

## მონადირეთა საყურადღებოდ!

### გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

საქართველოს კანონის "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სამოყვარულო და სპორტული ნადირობის უფლება ეძლევათ მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მფლობელებს.

გადამფრენ ფრინველებზე 2005-2006 წლების სანადირო სეზონისათვის განსაზღვრული შესაბამისი სანებართვო მოწმობების მიღება შესაძლებელია:

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N6 (მთაწმინდა-კრწანისის გამგეობის შენობის გვერდით).

საქართველოს სხვა ქალაქებსა და რეგიონებში - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოებში.

სანებართვო მოწმობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს სანადირო იარაღის რეგისტრაციის მოწმობა და ბანკში გადახდილი 10 ლარის სანებართვო მოსაკრებლის ქვითარი.

გადამფრენ ფრინველებზე სანადირო სეზონი გაიხსნება 2005 წლის 29 აგვისტოს.

სანებართვო მოწმობების გაცემა იწარმოებს 2005 წლის 22 აგვისტოდან.

საქართველოს ტერიტორიაზე ნადირობა ნებადართულია ყოველდღიურად შემდეგ ვადებში შემდეგ სახეობებზე:

1. 29 აგვისტოდან 15 თებერვლამდე - მწყერზე, მტრედზე, ჩიბუხაზე, გვრიტზე, ქედანზე, გვიძინზე(გულიო);
2. 15 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე - ტყის ქათამზე;
3. 1 ნოემბრიდან 1 მარტამდე - წყალმცურავ ფრინველებზე (რუხი ბატი, რუხი იხვი, ჭიკვარა, გარეული იხვი, ბოლოსადგისა იხვი, იხვინჯა, ფართოცხვირა, მელოტა);

მაღალმთიან რაიონებში - ახალქალაქი, ახალციხე, წალკა, ნინოწმინდა - წყალმცურავ ფრინველებზე (რუხი ბატი, რუხი იხვი, ჭიკვარა, გარეული იხვი, ბოლოსადგისა იხვი, იხვინჯა, ფართოცხვირა, მელოტა) ნადირობა ნებადართულია 15 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე.

## მოკლედ

### სასამართლოდან დაბრუნებულ პატიმარს "მარიხუანა" აღმოუჩინეს

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა სასამართლო პროცესიდან დაბრუნებულ პატიმარს დიმიტრი მჭედლიშვილს ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანა" აღმოუჩინეს.

გაზეთის ქაღალდში შეფუთული მომწვანო ფერის მცენარეული ნივთიერება განსასჯელს მარჯვენა წინდის ყელში აღმოაჩნდა. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონაცემებით, 26 წლის დიმიტრი მჭედლიშვილი დედოფლისწყაროს სასამართლოზეა რიცხული. მას ბრალად ედება ავტოსატრანსპორტო საშუალების გატაცება მისაკუთრების მიზნის გარეშე.

*24 საათი*

### კოდორის ხეობაში დაკარგული იარაღი "საფოსტო ბანკში" იპოვნეს

ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციის წევრებზე 1999 წლის 9 ივლისს კოდორის ხეობაში განხორციელებული ტერაქტისას დაიკარგა, პოლიციელებმა "საქართველოს საფოსტო ბანკის" ლიკვიდატორის სამუშაო კაბინეტიდან ამოიღეს. შს სამინისტროს ცნობით, "ტანფოლიოს" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი პოლიციელებმა თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე "საქართველოს საფოსტო ბანკში", ლიკვიდატორ გიორგი გომარელის სამუშაო ოთახში იპოვნეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### სააღსრულებო დეპარტამენტში დასანიშნად 33 კანდიდატი შეირჩა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ სააღსრულებო დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატსა და თბილისის სააღსრულებო ბიუროში გამოცხადებული კონკურსის შედეგად სხვადასხვა თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატები შეარჩია. საკონკურსო კომისია კანდიდატებს, მათი თანხმობის შემთხვევაში, თანამდებობაზე დასანიშნად იუსტიციის მინისტრს წარუდგენს.

სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე კონკურსი არ შედგა. თავმჯდომარის პირველ მოადგილედ შერჩეულია სოლომონ ელისაბედაშვილი, ხოლო მოადგილედ - გერმანე მაღლაკელიძე, რომელიც ამ თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად მუშაობს.

აღმოსავლეთ საქართველოს სააღსრულებო წარმოებათა სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე შერჩეულია ზაზა ხურციძე; სტატისტიკის, ანალიზისა და საფინანსო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე - იზა კვარაცხელია; სააღსრულებო პოლიციის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე - შოთა ხარშილაძე. კონკურსი 40 თანამდებობაზე იყო გამოცხადებული და მასში 120 კონკურსანტი მონაწილეობდა. გასაუბრების შედეგად დასანიშნად 33 კანდიდატი შეირჩა. 7 კონკურსანტი იუსტიციის სამინისტროს საკადრო რეზერვში ჩაირიცხება.

*24 საათი*

# ინფორმაცია

# საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2005 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

"საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის (2004 წლის 28 დეკემბრის) შესაბამისად საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხარჯვითი ნაწილი განისაზღვრა 56420,0 ათასი ლარის ოდენობით. იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობამ საავტომობილო გზების პრობლემები პრიორიტეტულად მიიჩნია, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განვითარებული სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ და პრევენციის მიზნით შეტანილ იქნა ცვლილებები "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში (2005 წლის 27 მაისი) და საბოლოოდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხარჯვითი ნაწილი 121420,0 ათასი ლარის ოდენობით ჩამოყალიბდა; მათ შორის გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია 61026,0 ათასი ლარი, გზების მიმდინარე შეკეთება 11480,0 ათასი ლარი, გზების შენახვა ზამთრის პერიოდში 2540,0 ათასი ლარი, სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები 28000,0 ათასი ლარი, სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ბობოყვათი-მახინჯაურის მონაკვეთის მშენებლობა 14500,0 ათასი ლარი, 2004 წლის დეკემბრის თვეში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა 1380,0 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 650,0 ათასი ლარი, კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯები 150,0 ათასი ლარი, ხოლო საავტომობილო გზების დეპარტამენტის აპარატის შენახვის ხარჯები განისაზღვრა 1694,0 ათასი ლარის ოდენობით.

2005 წლის 6 თვეში ფაქტიური ხარჯი შეადგენს 27605,0 ათას ლარს, საიდანაც გზების მოვლა-შენახვაზე (მიმდინარე და პერიოდული შეკეთება, გზების ზამთრის პერიოდში შენახვა, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები), საპროექტო-საძიებო-სამეცნიერო და ექსპერტიზის სამუშაოებზე დახარჯულია 17646,4 ათასი ლარი, უცხოური კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯი შეადგენს 49,1 ათას ლარს, სტიქიური მოვლენების შედეგად სალიკვიდაციო და პრევენციული მიზნით ჩასატარებელ სამუშაოებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 5850,9 ათასი ლარი, ხოლო ბობოყვათი-მახინჯაურის მონაკვეთის მშენებლობაზე ამ პერიოდში გაწეულია ხარჯები 2549,4 ათასი ლარის ოდენობით, (იხილეთ ცხრილი N1).

საქართველოს საავტომობილო გზებზე შესრულებული სამუშაოებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის შიდასახელმწიფოებრივი გზის მშენებლობა, რომლის განხორციელებაზე გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები სხვადასხვა საგზაო-სამშენებლო ორგანიზაციებთან 17542,0 ათასი ლარის მოცულობის სამუშაოებზე. მიმდინარე წლის პირველი ივლისისათვის ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 6551,0 ათასი ლარი.

აღნიშნული სამუშაოების პარალელურად გრძელდებოდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის კრედიტებით დაფინანსებულ ობიექტებზე.

მსოფლიო ბანკის N3357GE კრედიტის ფარგლებში 2005 წლის 6 თვეში შესრულებულია 1595,9 ათ. ლარის სამუშაოები, საიდანაც აღსანიშნავია საავტომობილო ხიდი მდ. სონდისხევზე, საერთო სიგრძით 60მ, რომელიც საექსპლუატაციოდ გადაეცა მიმდინარე წლის ივნისის თვეში.

კუვეიტის ფონდის N589KF კრედიტით დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიმდინარე წლის 6 თვეში შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 1976,5 ათ. ლარი. მთლიანად დამთავრდა სარეაბილიტაციო სამუშაოები სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზაზე, ხოლო სენაკი-ფოთი-სარფის ურეკი-ჩოლოქის 7კმ-იან მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დამთვარდება მიმდინარე წლის პირველი სექტემბრისთვის.

მსოფლიო ბანკის N3357GE კრედიტით გათვალისწინებული სამუშაოების პარალელურად უკვე ძალაში შევიდა და დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები მსოფლიო ბანკის ახალი კრედიტის ასათვისებლად, რომელიც 2005-2008 წლებში შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს**
**საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ცხრილი №1

ინფორმაცია

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2005 წლის 6 თვის ხარჯების შესახებ

ათასი ლარი

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | დამტკიცებულია 2005წ. ბიუჯეტით | | შესრულებული სამუშაოების მოცულობა | საკასო ხარჯი |
|---|---|---|---|---|---|
| | | სულ წლიური | იანვარი-ივნისი | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 23 20 | საავტომობილო გზების დეპარტამენტი | 121420.0 | 39544.2 | 30552.4 | 27605.0 |
| 23 20 01 | საავტომობილო გზების დეპარტამენტის აპარატი | 1694.0 | 692.6 | 680.3 | 640.4 |
| | შტატ-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება | 920.0 | 359.7 | 350.0 | 350.0 |
| | დამქირავებლიდან ანარიცხები | 184.0 | 71.9 | 70.1 | 70.1 |
| | მივლინებები | 50.0 | 30.0 | 22.0 | 22.0 |
| | სხვა საქონელი და მომსახურება | 500.0 | 199.4 | 207.2 | 170.9 |
| | კაპიტალური ხარჯები | 40.0 | 31.6 | 31.0 | 27.4 |
| 23 20 02 01 | გზების მოვლა-შენახვის ხარჯები | 119726.0 | 38851.6 | 29872.1 | 26964.6 |
| | გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია | 61026.0 | 18980.4 | 12213.2 | 11634.6 |
| | გზების მიმდინარე შეკეთება | 11480.0 | 4444.8 | 6313.0 | 3772.5 |
| | გზების შენახვა ზამთრის პერიოდში | 2540.0 | 2240.0 | 2839.6 | 2239.3 |
| | სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ბობოყვათი-მახინჯაურის მონაკვეთის მშენებლობა | 14500.0 | 4000.0 | 1859.0 | 2549.4 |
| | სხვა ხარჯები | 650.0 | 248.8 | 190.9 | 100.1 |
| | 2005 წლის შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა | 1380.0 | 1380.0 | 0.0 | 768.7 |
| | სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები | 28000.0 | 7499.9 | 6398.8 | 5850.9 |
| | კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯები | 150.0 | 57.6 | 57.6 | 49.1 |

# ბრძოლა ტერორიზმთან დემოკრატიულად

პირველი გვერდიდან

თუმცა, ისტორია გვასწავლის, რომ დემოკრატიას გაცილებით ეფექტიანი იარაღი აქვს ტერორიზმის წინააღმდეგ, ვიდრე ავტორიტარიზმს. შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული სახელმწიფო მაშინ უფრო სუსტდება, როცა ივიწყებს მორალს და ავტორიტარიზმის ცდუნებას აჰყვება.

რასაკვირველია, ჩვენი თავისუფლებების შეზღუდვის მოწოდებების უკან მარტივი ლოგიკა დგას: ექსტრემისტები დანაშაულის ჩადენისას ბოროტად იყენებენ ჩვენს თავისუფლებას. აქედან გამომდინარე, თავისუფლების ბოროტად გამოყენების აღკვეთა ამ თავისუფლებათა შეზღუდვას მოითხოვს. თუმცა, დიდი შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ღია საზოგადოება უფრო დაუცველია ტერორიზმის წინაშე, ვიდრე - ავტორიტარული რეჟიმის პირობებში მყოფი. ამის დასტურად საკმარისია, დღევანდელი რუსეთი და 1990-იანი წლების ალჟირი გავიხსენოთ.

მართლაც, დემოკრატია და კანონის უზენაესობა არ იძლევა უსაფრთხოების სრულ გარანტიას. მაგრამ, ასეთი გარანტია ნებისმიერ შემთხვევაში მირაჟია. მაშინ, როცა ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის გამოყენებით ტერორიზმთან ბრძოლა ექსტრემისტთა იზოლაციისთვის ძლიერი საშუალებაა, ისევე როგორც კარგი ინსტრუმენტია იმ ადამიანთა თვალში მათი ლეგიტიმურობის შემცირებისთვის, ვინც, შესაძლოა, უთანაგრძნობდეს. დიდი ბრიტანეთი დემოკრატიული, კანონის უზენაესობის დამცველი ქვეყანაა და სწორედ ამიტომ შეძლო მან ბრიტანეთის მუსლიმური მოსახლეობის დიდი ნაწილის თავის მხარეზე გადაბირება.

და პირიქით, ავტორიტარული რეჟიმების მიერ სამოქალაქო პირთა რეპრესიები და მშვიდობიან მოსახლეობასა და მკვლელთა შორის დიფერენციაციის არარსებობა ექსტრემისტებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის - მათ საშუალება ეძლევათ, მოახდინონ ხელისუფლების დისკრედიტაცია და თავის მხარეზე გადაიბირონ მოსახლეობის დიდი ნაწილი. ერთნაირი მიდგომა პოლიტიკური ისლამიზმის იმ მიმდევართა მიმართ, ვინც ტერორის გზას მიმართავს და მათ მიმართაც, ვინც უარს ამბობს ძალადობაზე, ექსტრემისტებს მხოლოდ უადვილებს ამოცანას - საშუალებას აძლევს მათ, იმ იდეის დამცველებად წარმოაჩინონ თავი, რომელსაც სინამდვილეში არ იზიარებენ.

რუსეთი ავტორიტარული ძალადობისა და კანონის უზენაესობის უპატივცემულობის თვალსაჩინო მაგალითია. პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ჩეჩნეთში "გადაბუგული მიწის" ტაქტიკას მიმართავდა, რომელმაც ზოგიერთი ჩეჩენი ნაციონალისტი ექსტრემიზმამდე მიიყვანა. რუსეთში ტერორისტული აქტები არათუ შეწყდა, არც კი შემცირებულა. საკმარისია გავიხსენოთ ტერაქტი ბესლანში 2004 წლის სექტემბერში, როცა ერთ სკოლაში, სულ მცირე, 330 ადამიანი დაიღუპა.



დიდი ბრიტანეთი დემოკრატიული ქვეყანაა და სწორედ ამიტომ შეძლო მუსლიმური მოსახლეობის დიდი ნაწილის თავის მხარეზე გადაბირება.

ტერორიზმთან ბრძოლისას უკანონო ძალადობის არაეფექტიანობის თვალსაჩინო დემონსტრირებაა ერაყიც. როგორც ჩანს, ბუშის ადმინისტრაცია უკვე ხვდება ამას. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ათასობით უდანაშაულო ადამიანის დაღუპვამ, თვითნებურმა დაპატიმრებებმა და წამებამ თავისი წვლილი არ შეიტანა ერაყში ტერორიზმის გავრცელებაში. ბოლოს და ბოლოს, წამების მსხვერპლი საუკეთესო რეკლამაა ტერორისტთა რიგებში გადაბირებისთვის.

უფრო მეტიც, როცა საქმე ტერორიზმთან ბრძოლამდე მიდის, დემოკრატიები გაცილებით ეფექტურნი არიან როგორც პოლიტიკურად, ასევე - ოპერატიულად, განსაკუთრებით, საიდუმლო სამსახურების მუშაობის თვალსაზრისით. ავტორიტარულ ქვეყნებში სადაზვერვო სამსახურები ან ძალიან ცენტრალიზებულნი არიან ან პირიქით - თავად ხდებიან ძალაუფლების ავტონომიური წყარო. ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი არ არიან საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ და არც ანგარიშვალდებულნი არიან ხალხის წინაშე. შედეგად, დროთა განმავლობაში ისინი კარგავენ საკუთარი ნამოქმედარის, დაშვებული შეცდომების კრიტიკულად შეფასების უნარს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში კი არსებობს სადაზვერვო სამსახურების კონტროლის მექანიზმი, რომელიც მოწოდებულია ჩარჩოებში მოაქციოს ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. ამის გარანტირება ძალიან იოლია - უმაღლესი თანამდებობის პირები, რომლებიც თავს ვერ ართმევენ მოვალეობებს, დემოკრატიულ ქვეყნებში აუცილებლად ისჯებიან.

მაგალითად, აშშ-ში სენატის სპეციალური კომიტეტი (სადაც ორივე პარტიის წევრები არიან წარმოდგენილნი) ახორციელებს სადაზვერვო სამსახურებზე უშუალო კონტროლს. სწორედ ამ ორგანომ გააკეთა მოხსენება, რომელშიც მკაცრად აკრიტიკებდა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და გამოძიების ფედერალურ ბიუროს იმისთვის, რომ ვერ შეძლეს 11 სექტემბრის ტერაქტის აღკვეთა. მოხსენება ამავდროულად შეიცავდა მთელ რიგ რეკომენდაციებს ამ სამსახურების ეფექტიანობის ასამაღლებლად რესტრუქტურიზაციის მიზნით.

ევროპის რეაქცია ტერორზე, პირველ რიგში, მისი სადაზვერვო სამსახურების გაძლიერებას მოითხოვს, რათა მათ შეძლონ ტერორისტული უჯრედების გამოვლენა და განადგურება. თუმცა, ამავდროულად დაცული უნდა იყოს კანონის უზენაესობის პრინციპი, ადამიანის უფლებები და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურა. ეს, ასევე, მოითხოვს უფრო მეტ კოორდინაციას ევროკავშირის ყველა წევრ-სახელმწიფოს შორის, ასევე - მათ მოკავშირეებსა და პარტნიორებს შორის.

კანონის უზენაესობის პოზიციიდან მიდგომა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართ ევროკავშირის ურთიერთობების ქვაკუთხედად უნდა იქცეს მესამე ქვეყნებთან მიმართებაში, განსაკუთრებით - ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებს ან პაკისტანთან ურთიერთობებისას. ამ ურთიერთობებმა უსაფრთხოების კულტურის ზრდას უნდა შეუწყოს ხელი, რომელსაც, თავის მხრივ, დემოკრატიზაციისკენ მივყავართ. დემოკრატიის გაღრმავება სრულფასოვან სამოქალაქო მონაწილეობას გულისხმობს, მათ შორის - არაძალადობრივი ისლამური ჯგუფების მონაწილეობას. სიტყვის თავისუფლება და შეკრების თავისუფლება შენარჩუნებული უნდა ჰქონდეთ მათ, ვინც თავს მარგინალიზებულად გრძნობს და განრისხებულია იმით, რასაც ევროპელთა დიდი ნაწილიც უსამართლობად თვლის - პალესტინელთა, ჩეჩენთა და ერაყელთა მისამართით.

დაბოლოს, თვითშეგნებაზე დაფუძნებული ექსტრემიზმთან ბრძოლა, ევროკავშირში მცხოვრები ყველა ადამიანის უკეთეს ინტეგრაციას ითხოვს. ტერორიზმზე პასუხი უნდა იყოს სამართლებრივი სახელმწიფოს უპირატესობის დამტკიცება ავტორიტარიზმზე.

ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა აღვმართოთ კედლები ჩვენი საზოგადოებების შიგნით და მის გარშემო - ეს ტერორის წინაშე დათმობას ნიშნავს. ექსტრემიზმისთვის საუკეთესო პასუხი იქნებოდა ღია, პლურალისტული საზოგადოების განვითარება, რომელიც ყველა იქ მცხოვრებს სრულფასოვან მოქალაქედ აღიარებს. ევროპამ მრავალფეროვნება თავისი პოლიტიკური მოწყობის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად გადააქცია, და სწორედ ამიტომ აქვს მას მსოფლიოზე გავლენა. ამ პრინციპის დაცვა საუკეთესო გზაა პატივის მიგებისა ტერაქტების მსხვერპლთათვის ლონდონში, შარმ-ეშ-შეიხში, მადრიდში, კასაბლანკასა თუ ნიუ-იორკში.

*პროექტი სინდიკატი, 2005წ.*

# ცვლილებები

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში „სს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის რეაბილიტაციის პროგრამის ღონისძიებები" (გაზეთი „24 საათი", 9 აგვისტო, 2005 წელი)

ლოტი I

| მასალები | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|
| გამანაწილებელი სადენი 2×10მმ2 (ალუმინი) | მეტრი | 490000 |
| ძალ. კაბელი კარადიდან მრიცხველების კარადამდე 4×35მმ2 (ალუმინი) | მეტრი | 8700 |
| ძალ. კაბელი კარადიდან მრიცხველების კარადამდე 4×50მმ2 (ალუმინი) | მეტრი | 8800 |
| ძალოვანი კაბელის 4×35მმ2-ის ბუნიკი (ალუმინი) | ცალი | 2700 |
| ძალოვანი კაბელის 4×50მმ2-ის ბუნიკი (ალუმინი) | ცალი | 2800 |
| სადენის სამაგრი ნარჭვი 2×10მმ2-თვის | ცალი | 65800 |
| დაბალი ძაბვის იზოლატორის კავი | ცალი | 18000 |
| დაბალი ძაბვის იზოლატორი | ცალი | 36000 |
| დაბალი ძაბვის იზოლატორის ტრავერსა | ცალი | 12000 |
| ჰამუტი 150 მმ | ცალი | 26000 |
| ჰამუტი 1000 მმ | ცალი | 116000 |
| დამცავი გარსაცმი კაბელისათვის | მეტრი | 10900 |
| დამიწების გლინულა(კატანკა) D=6 მმ | კგ | 77 |
| პერიოდული რკინა D=18 მმ | კგ | 54.3 |
| კაბელების შემკვრელი კედელზე მისამაგრებელი მოწყობილობა | ცალი | 11000 |
| ძალოვანი კაბელები | | |
| 3X50 10კვ | მეტრი | 1500 |
| 3X70 10კვ | მეტრი | 1500 |
| 3X95 10კვ | მეტრი | 4300 |
| 3X120 10კვ | მეტრი | 4300 |
| 3X185 10კვ | მეტრი | 1500 |
| 3X240 10კვ | მეტრი | 1000 |
| 3X25+1X16 0.4კვ | მეტრი | 6000 |
| 3X50+1X25 0.4კვ | მეტრი | 6000 |
| 3X70+1X35 0.4კვ | მეტრი | 6000 |
| 3X95+1X50 0.4კვ | მეტრი | 4000 |
| 3X120+1X70 0.4კვ | მეტრი | 1500 |
| ოთხძარღვა იზოლირებული კაბელი 3X16 0.4კვ | მეტრი | 15000 |
| ოთხძარღვა იზოლირებული კაბელი 3X25+1X54 0.4კვ | მეტრი | 15000 |
| შიშველი ალუმინის გამტარები | | |
| 80-იანი AC 35 | ტონა | 3 |
| 50-იანი AC 50 | ტონა | 3 |
| 70-იანი AC 70 | ტონა | 3 |
| რკინაბეტონის ბოძი 10კვ. 10.5 მეტრიანი | ცალი | 1250 |
| რკინაბეტონის ბოძი 10კვ. 11 მეტრიანი | ცალი | 1250 |
| იზოლატორი 10კვ. | ცალი | 3000 |

ლოტი II

| სპეციფიკაცია | რაოდენობა |
|---|---|
| პერსონალური კომპიუტერი, 17"მონიტორი, უწყვეტი კვების ბლოკი (UPS) | 361 |
| მცირე სიმძლავრის სერვერი (Workstation) და უწყვეტი კვების ბლოკი | 48 |
| სერვერი | 6 |
| უწყვეტი კვების წყარო მომუშავე Online რეჟიმში | 28 |
| გენერატორი | 28 |
| ქსელური პრინტერი | 86 |
| ქსელური პრინტერი | 36 |
| სკანერი | 41 |
| ასლის გადასაღები აპარატი | 65 |
| ფაქსის აპარატი | 65 |
| ლეპტოპი თავისი ჩანთით | 22 |
| სისკოს დამცავი გადამრთველი (Switch) | 28 |
| სისკოს როუტერი | 1 |
| საკასო აპარატი | 51 |
| ქსელის გადამრთველი (Switch) | 44 |
| ქსელური როუტერი | 28 |
| პროგრამული უზრუნველყოფა ბილინგის სისტემისათვის | 1 |

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია

## სერიული აფეთქებები ბანგლადეშში

სი-ენ-ენ-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბანგლადეშის ათეულობით ქალაქში გუშინ 350 ბომბი აფეთქდა. ადგილობრივი პოლიციის ინფორმაციით, აფეთქებების შედეგად 115 კაცი დაიღუპა.

**"ეს დაგეგმილი ინციდენტი იყო. ჩვენ გვქონდა კიდეც ამ გეგმის შესახებ დაზვერვის მონაცემები. უბრალოდ, არ ველოდით, თუ ეს ასე ადრე მოხდებოდა,"** - თქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა ლუფტოზამან ბაბრმა.

ბანგლადეშის მაღალჩინოსანთა თქმით, აფეთქებების შესახებ ცნობები მათ ქვეყნის, დაახლოებით, 36 ოლქიდან მიიღეს.

პასუხისმგებლობა აფეთქებებზე ისლამურმა სამხედრო დაჯგუფებამ "ჯამაიეთულ მოჯაჰედებ"-მა აიღო საკუთარ თავზე.

რაც შეეხება, უშუალოდ, ბანგლადეშის დედაქალაქ დაკაში განხორციელებულ ტერაქტებს, ასაფეთქებელი მოწყობილობები სახელმწიფო უშიშროების სამდივნოს, უზენაესი სასამართლოს კომპლექსის, პრემიერ-მინისტრის ოფისის, დაკას საუნივერსიტეტო საცხოვრებელი კომპლექსის, სასტუმრო შერატონისა და "ზია"-ს საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად ამოქმედდა.

დედაქალაქის აფეთქებების შედეგად დაშავებულია მხოლოდ 3 ადამიანი. გაცილებით მეტია დაშავებულთა და ამასთან გარდაცვლილთა რაოდენობა სხვა ქალაქებში.

აფეთქებები მოხდა ბანგლადეშის რეგიონულ მსხვილ ქალაქებში: ნილფამარში, რაჯშაიში, ხულნაში, ბარისალში, სუნამგანიში, ნეტროკონაში, ბანდარბანში, ჯესორეში, თაკურგაონში, მოულვიბაზარში, ფარიდპურში, ნარაიანგანიში, კომილასა და ჩუადანგაში.

*სი-ენ-ენი*

## მორიგი აფეთქება ბაღდადის ცენტრში

ბაღდადის ცენტრში გუშინ, დღის პირველ ნახევარში ბოევიკებმა სამი დანაღმული ავტომანქანა ააფეთქეს, რის შედეგად 43 ადამიანი დაიღუპა და 70-ზე მეტი დაიჭრა. ექიმების მონაცემებით, დაღუპულთა უმრავლესობა მამაკაცია, მაგრამ არიან ქალებიც და ბავშვებიც.

ერაყელმა ექსტრემისტებმა თავის სამიზნედ ავტობუსების სადგური "ან-ნადა" აირჩიეს, რომელიც დილის საათებში ხალხით იყო სავსე. იქ თავდაპირველად 10 წუთის ინტერვალით ორი დანაღმული ავტომანქანა აფეთქდა. მოგვიანებით კი, როდესაც შემთხვევის ადგილზე პოლიციისა და სასწრაფო დახმარების მანქანები მივიდნენ და მედიკოსებმა დაჭრილების ევაკუაცია დაიწყეს, კიდევ ერთი ავტომანქანა აფეთქდა. თვითმხილველთა თქმით, აფეთქებები სადგურისა და ალ-ქინდის საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიებზე მოხდა, რამაც კიდევ რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. გარდა ამისა, პოლიციელთა თქმით, იქვე გაჩერებული 22 მანქანაც დაზიანდა.

პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ჯერჯერობით არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია, მაგრამ, ოფიციალურ პირთა განცხადებით, გუშინდელი ტერაქტების სერიის უკან, სავარაუდოდ, ერაყში "ალ-ქაიდას" ისლამური რადიკალური დაჯგუფება უნდა იდგეს, რომელსაც აბუ მუსაბ აზ-ზარქავი ხელმძღვანელობს.

*24 საათი*

## შეტაკებები ღაზას სექტორში

ისრაელის არმიის ათეულობით ათასი ჯარისკაცი და პოლიციელი ღაზას სექტორში დარჩენილი მოსახლეების იძულებით ევაკუაციას შეუდგა. ოპერაცია მას შემდეგ დაიწყო, რაც შუაღამისას ამოიწურა ვადა, როცა მოსახლეებს საკუთარი სახლები ნებაყოფლობით უნდა დაეტოვებინა. სამხედროთა მონაცემებით, 8500 მოსახლიდან, დაახლოებით, ნახევარი ღაზის სექტორიდან წასვლის შესახებ მთავრობის და პარლამენტის გადაწყვეტილების შესრულებაზე უარს აცხადებს.

ჯარისკაცების და პოლიციელების კოლონები ღაზას სექტორის უდიდეს ებრაულ დასახლებაში ნევე-დეკალიმში გვიან ღამით შევიდნენ. სამშაბათს აქ გაიმართა მანიფესტაცია, რომლის მონაწილეები ებრაელ ჯარისკაცებს "ნაცისტებს" უწოდებდნენ. მოსახლეებსა და ისრაელის ჯარებს შორის შეტაკებისას, დაახლოებით, 50 ადამიანი დააპატიმრეს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ შიმონ პერესმა ბი-ბი-სის განუცხადა, რომ დღეს მნიშვნელოვანი დღეა ისრაელის დემოკრატიისათვის, რომელმაც დაამტკიცა, რომ მიუხედავად სერიოზული ოპოზიციისა, შესწევს ძალა, მიიღოს და განახორციელოს ძნელი გადაწყვეტილებები.

*ინტერპრესნიუსი*

## ლონდონის ტერაქტების გამოძიება გრძელდება

ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა ჯერჯერობით ვერ აღმოაჩინეს პირდაპირი კავშირი ლონდონის 7 და 21 ივლისის ტერაქტებს შორის. სამაგიეროდ, შინაგან საქმეთა მინისტრი ჩარლზ კლარკი დარწმუნებულია, რომ ასეთი კავშირი არსებობს. ორივე შემთხვევაში მოქმედებდა ოთხი ტერორისტი ბომბებით. თავდასხმების ადგილი ლონდონის ტრანსპორტი იყო.

7 ივლისს მომხდარი აფეთქებების შედეგად 50-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

21 ივლისს, ბედნიერი შემთხვევის გამო, მსხვერპლი არ ყოფილა - ასაფეთქებელმა მოწყობილობებმა არ იმუშავა. ტერაქტებთან დაკავშირებით 20 ადამიანზე მეტია დაკავებული.

*რადიო თავისუფლება*


ABDİ İBRAHİM



Being the leader pharmaceutical company of Turkey, Abdi Ibrahim Pharmaceuticals has committed to support healthy generations in Turkey for 93 years. The company continues to expand in foreign markets by establishing its operations to market its high quality products, that are produced in its state of the art manufacturing plant.

**Now the company is in a process to start its operations in Georgia thus looking for a**

**General Manager**

The candidates with qualifications;

- At least 5 years of experience in the pharmaceutical sector in one of the leading pharmaceutical companies
- Minimum 3 years of experience in Marketing and Sales Fields
- Familiar with the promotion and distribution processes in Georgia
- Excellent command of both written and spoken English
- Analytic minded and entrepreneur
- Ambitious, dedicated and results oriented.

Are kindly requested to send their English written CV's to: ozlem.erdemir@abdiibrahim.com.tr not later than **02 September 2005.**

www.abdiibrahim.com.tr

## მოკლედ

### "ლიონს" სურს ოუენი, "ესპანიოლს" - არა

მას შემდეგ, რაც საფრანგეთის "ლიონმა" გუნდის ნახევარმცველი მიხაელ ესენი ლონდონის "ჩელსის" 38 მილიონ ევროდ მიჰყიდა, ახლა საკუთარი კლუბის "მსოფლიო დონის" ფეხბურთელით გაძლიერებას აპირებს.

"როიტერსის" ცნობით, რომელიც "ლიონის" ხელმძღვანელობის გეგმებს ეყრდნობა, ფრანგებს იმედი აქვთ, რომ მათი მომავალი შენაძენი მადრიდის "რეალის" თავდამსხმელი მაიკლ ოუენი იქნება. ამასობაში პრიმერადივიზიონის ბინადარი "ესპანიოლის" პრეზიდენტმა დანიელ სანჩეს ლიბრემ უარყო ხმები იმის თაობაზე, თითქოს მისი კლუბი "რეალთან" მაიკლ ოუენის შესაძენად აწარმოებს მოლაპარაკებას.

### ინგლისს ერიქსონი 2008 წლამდე უნდა

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის (FA) ხელმძღვანელი ბილ ბარვიკი აცხადებს, რომ ყველაფერს ილონებს 2008 წლამდე ინგლისის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე შვედი სპეციალისტის სვენ გორან ერიქსონის დასარჩენად. "ძალიან გვინდა ერიქსონთან ხელშეკრულება გავაგრძელოთ 2008 წლამდე. ახლა სწორედ ამაზე ვმუშაობთ", - აცხადებს ბარვიკი.

### ბარელებისთვის ბარიკელო დონეა

ადრეც ვიუწყებოდით, რომ "ფერარის" ბრაზილიელი მრბოლი რუბენს ბარიკელო ახალ სეოზონში ბარელებს შეუერთდება და მათთან მრავალწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. ინგლისური საჯინიბოს მფლობელის ნიკ ფრაის გადაწყვეტილებას გვამცნობს "როიტერსი". "ბარიკელოს BAR-ში მიწვევა ჩვენი საჯინიბოსთვის და თავად მრბოლისთვის დიდი ნაბიჯი იქნება, - აცხადებს ფრაი. - რუბენსის მოსვლით, ჩვენი გუნდის დონე მნიშვნელოვანად აიწევს, რაც საკუთარი ამბიციების განხორციელებაში შეგვეშველება".

### მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს მიჯრით დაახალეს

როტერდამის ქუჩაში კიკბოქსინგში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ჰოლანდიელი პეტერ შმიტი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. თვითმხილველთა თქმით, შმიტი კამათში ჩაება უცნობთან, რომელმაც იარაღი ამოიღო და მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს მიჯრით დაახალა. 43 წლის შმიტი ადგილზევე გარდაიცვალა. დამნაშავის ადგილზე დაკავება არ მოხერხდა. პოლიციამ მკვლელობის იარაღი აღმოაჩინა.

1980-1990 წლებში შმიტი კარატესა და კიკბოქსინგში არაერთხელ გახდა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი. 1990 წელს კი კიკბოქსინგში მსოფლიო პირველობაზე ოქროს მედალს დაეუფლა.

### ჰოლიფილდი ნიუ იორკში აკრძალეს

ნიუ იორკის შტატის ათლეტთა კომისიამ მისივე კონტროლირებად ტერიტორიაზე ასპარეზობის ადმინისტრაციული აკრძალვა დაადო მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს ევანდერ ჰოლიფილდს. "ნიუ იორკ დეილი ნიუსის" თანახმად, აკრძალვის მიზეზი "ოსტატობის დაკარგვა და ცუდი ასპარეზობაა". ცუდ ასპარეზობაში შარშან 13 ნოემბერს ლარი დონალდის წინააღმდეგ ნიუ იორკში შემდგარი ორთაბრძოლა იგულისხმება. 12 რაუნდის შემდეგ მსაჯებმა ფაქტობრივად აშკარა უპირატესობა - 119-109, 119-109, 118-109 დონალდს მიაკუთვნეს.

### არმსტრონგი და ჯორჯ ბუში ერთად ამხედრდებიან ველოსიპედზე

ABC ცნობით, "ტურ დე ფრანსის" შვიდგზის გამარჯვებულს ტეხასელ ლენს არმსტრონგს განზრახული აქვს უახლოეს უიკ-ენდზე აშშ-ის პრეზიდენტის კომპანიაში მთის ველოსიპედით ასევე ტეხასელ აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან ერთად მისივე რანჩოზე გაისეირნოს.

მიუხედავად იმისა, რომ არმსტრონგს საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს ჯორჯ ბუშ-უმცროსთან, "ტურ დე ფრანსის" ტრიუმფატორი აცხადებს, რომ ველოსპორტიდან პოლიტიკაში წასვლას არ აპირებს.

სხვათა შორის, ამბობდნენ, კარიერის დასრულების შემდეგ არმსტრონგი ტეხასის გუბერნატორის თანამდებობაზე იყრის კენჭსო.

## ფეხბურთი

# გამარჯვების რეცეპტი - გიორგი დემეტრაძე

მიხეილ აბაიშვილი

გაიოზ დარსაძის დებიუტი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე წარმატებული აღმოჩნდა. "ხუთჯვაროსნებმა" მძიმე ბრძოლაში შეძლეს საკმაოდ "კერკეტი კაკლის", ყაზახეთის ნაკრების წინააღმდეგობის დაძლევა და შესარჩევ ციკლში საკუთარი მწირი მონაგარი კიდევ სამი ქულით გაამდიდრეს. ვინც უყურა ამ მატჩს, დამეთანხმება: გუშინდელ გამარჯვებას ერთი სახელი აქვს - გიორგი დემეტრაძე.

მატჩი მოსალოდნელი სცენარით დაიწყო და განვითარდა: პირველივე წუთებიდან საქართველოს ნაკრები საგრძნობ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდა. თუმცა, ეს უპირატესობა გატანილი გოლების ან სახიფათო მომენტების კასკადში არ გადაზრდილა. დებიუტშივე აშკარა იყო, რომ მეტოქე ჩვენს გუნდზე სათამაშო კლასით და ოსტატობით გაცილებით დაბლა იდგა. როგორც ჩანს, ამ გარემოებამ სტუმრებს იოლი გამარჯვების ილუზია შეუქმნა და საქართველოს ნაკრები, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, შედარებით ინერტულად, დაბალ ტემპში მოქმედებდა. ასეთმა თამაშმა არათუ ვერ მოგვიტანა წარმატება, არამედ დავისაჯეთ კიდეც. იმედია, ჩვენი ნაკრებისთვის გაკვეთილად გამოდგება, რომ დაბალ ტემპში, სათანადო აგრესიისა და მიზანდასახულობის გარეშე თამაშს თვით ყაზახეთის ნაკრებიც კი არავის პატიობს. 24-ე წუთზე მოედნის ცენტრში ბურთი დაიკარგა, რასაც მასპინძელთა სწრაფი ფლანგური შეტევა და ლომაიას საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა და არცთუ მაღალი ბურთისთვის კენჩეხალოვთან ბრძოლაში მენთეშაშვილმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. უკვე ჩატარებულ 8 შესარჩევ მატჩში პირველად მოხდა, რომ ანგარიშში ყაზახები დაწინაურდნენ, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ გუნდის დაბალ კლასს.



გოგიტა ბახსაძის ფოტო

დემეტრაძემ საქართველოს მეორედ მოაგებინა.

მიღებულმა გოლმა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელთა თავმოყვარეობაზე გაწნული სილის ეფექტი მოახდინა. ჩვენები გააქტიურდნენ, თუმცა, დარჩენილ 20 წუთში წარმოშობით ქართველი დავით ლორიას კარში გოლის გატანა ვერ მოხერხდა.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე კობიაშვილის წაქცევისთვის მასპინძელთა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს დაინიშნა ჯარიმა. დარტყმის შესრულება დემეტრაძემ ითავა და ეს ბრწყინვალედ გააკეთა: ბურთმა "ცოცხალ კედელს" შემოუარა და ლორიას კარის ბადეში აღმოჩნდა: 1:1. გასაგებია, რომ ყაზახები ასეთ შედეგზეც არ იტყოდნენ უარს. ისინი ცდილობდნენ, დრო გაეყვანათ და მატჩი ფრედ დასრულებულიყო. შეტევას შეტყევა მოსდევდა, მაგრამ ქართველი ფეხბურთელები გოლის გატანას ვერ ახერხებდნენ. პირდაპირ ვიტყვი: მატჩის ფრედ დამთავრება ნამდვილად კატასტროფა იქნებოდა და, წესით, გაიოზ დარსაძის გადადგომაც უნდა მოჰყოლოდა. საქართველოს ნაკრების პრესტიჟი (თუ ასეთი რამ კიდევ შერჩენია) და გაიოზ დარსაძის თანამდებობა ისევ დემეტრაძემ გადაარჩინა: 84-ე წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს "დემე" მაღალი ნახტომით შესწვდა და ზუსტი თავური დარტყმით 3 ქულის მომტანი გოლი გაიტანა. დარჩენილ დროში ისევ დემეტრაძეს კიდევ ერთხელ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ კარგი დრიბლინგისა და მეკარესთან თითქმის პირისპირ გასვლის შემდეგ მისი დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს. ყაზახური საზომებით მაინც, ვარსკვლავური შემადგენლობით დაკომპლექტებულმა საქართველოს ნაკრებმა დიდი სირთული გარეშე მოიგერია მასპინძელთა ბოლო იერიშები და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა. ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: **ლომაია, ხიზანიშვილი, ალადაშვილი (ოდიკაძე, 81`), კალაძე, მენთეშაშვილი, კანკავა, კობიაშვილი, გახოკიძე, ცქიტიშვილი, იაშვილი (მუჯირი, 74`), დემეტრაძე (განუგრავა, 87`).**

მოპოვებული გამარჯვების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა 8 ქულა დააგროვა, თუმცა, სატურნირო ცხრილში წინ წაწევა ვერ მოახერხა. ერთი საფეხურით მაღლა მდგომ ალბანეთს 9 ქულა აქვს. ჯგუფს კი 9 თამაშიდან 23 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს უკრაინის ნაკრები, რომელსაც თბილისში 4 სექტემბერს ვუმასპინძლებთ.


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.**გარდაბნის რაიონის გამგეობა მდებარე: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშნებლის ქ.N73, ინდ. 1300 აცხადებს ღია ტენდერს გარდაბნის რაიონის სოფ. კრწანისში ღია სასროლეთის აშენების შესახებ და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2.მიწოდების სავალდებულო ვადაა 2005 წელი.

3.დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 კალენდარული დღის შემდეგ 15 სამუშაო დღის ვადაში 9 საათიდან 17 საათამდე, მისამართზე: ქ.გარდაბანი, აღმაშენებლის ქ.N73, ინდ. 1300. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადა, რომელიც შესრულებული უნდა იქნას ქართულ ენაზე, განისაზღვრება საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგების დაგზავნიდან არა უმეტეს 15 კალენდარული დღისა.

4 საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრების საქმის წარმოება, სანაცია, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ბ) ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელიც მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებლივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3 ფიზიკური და იურდიული პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ:

ბ) ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ:

გ) მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს მიერ გაცემული სერთიფიკატის ასლი.

5. განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, რომელიც უნდა იყოს ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. კლასიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკასიო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის, ტენდერში მონაწილე პრეტედენტებს, სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 500 ლარის ოდენობით (ანგ.303030001. სახალხო ბანკის გარდაბნის საოპერაციო სამმართველოს, კოდი 220101401) ზემო მითითებული ვადების შესაბამისად შეეძლებათ მისამართზე; ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ.N73, 9-დან 17 საათამდე.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გარდაბნის რაიონული გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელეფონი: 5-24-46

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. აჭარის ავტონომური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს დეპარტამენტის კუთვნილი ტელერადიო მაუწყებლობის 82 (ოთხმოცდაორ) სადგურის (რომლებიც მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე, უმეტესი ნაწილი აჭარის მაღალმთიან რეგიონში) პასპორტიზაციასთან დაკავშირებული მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურების მიწოდების სასურველი ვადაა სამი თვე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 5 სექტემბრიდან 8 სექტემბრამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი N41.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს (სასამართლოდან), რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა (საჯარო რეესტრიდან), რომ მის ქონებას ყადაღა არ ადევს;

გ) ცნობას (საინფორმაციო ანალიტიკური სამსახურიდან), რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) რეგისტრაციის შესახებ დადგენილება (სამართლოდან);

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) სათანადო ლიცენზია;

ბ) რეკვიზიტები;

გ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან, დავალიანების არარსებობის შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 17 სექტემბრიდან 24 სექტემბრამდე, შემდეგ მისამართზე: ბათუმი, მემედ აბაძიძის გამზირი N41.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რომანოზ აბდუშელიძე, მინურ ტუნაძე, მისამართზე: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი N41. ტელ: 7-43-77, 7-43-82.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

გაეროს განვითარების პროგრამა

"ლამაზი ბორჯომის" კომპონენტის ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს ერთ ლოტად, სამშენებლო კომპანიის გამოსავლენად ქალაქ ბორჯომში პროექტის ფარგლებში შერჩეული ობიექტების ფასადების შეკეთების მიზნით.

**შესყიდვის ობიექტია:**

1. გაზეთ "ბორჯომის" რედაქციის შენობა (კოსტავას მ. N1)
2. შადრევანი წმიდა ნიკოლოზის ეკლესიასთან მდებარე "მცირე პარკში";
3. მე-2 საშუალო სკოლა (რუსთაველის ქ. N81)

**სამუშაოების შესრულების ვადა**: 2005 წლის 26 სექტემბრიდან 2005 წლის 15 ნოემბრამდე.

**საკვალიფიკაციო მონაცემები** უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები;

ბ) სასამართლოს დადგენილება ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს მონაწილეობის მსურველი პირის გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (რაიონული სასამართლოდან);

დ) ცნობა ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე Yყადაღის არარსებობის შესახებ;

ე) სამშენებლო სამუშაოების წარმოების ლიცენზია (სამუშაოების მიხედვით შესაბამისი ჩამონათვალი) ან ნებართვა (სამუშაოების მიხედვით შესაბამისი ჩამონათვალი) ;

ვ) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადაგასული ვალდებულებების შესახებ სახელმწიფოსა და კრედიტორების წინაშე (საგადასახადო ინსპექციიდან);

ზ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების განხორციელების შესახებ;

თ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტის მიერ დამოწმებული);

***ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილ უნდა იქნას ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, მეორე ეგზემპლარი ქსეროასლის სახით***;

**სატენდერო დოკუმენტაცია** (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა იმ პირებზე, რომლებიც სრულად წარმოადგენენ ზემოთჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებს. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შემდეგ მისამართებზე:

**ქ. თბილისში:** მელიქიშვილის გამზირი N12, მე-3 სართული, ოთახი N303. საკონტაქტო პირი ელენე მიქაბერიძე. 22-14-11.

**ქ. ბორჯომში:** რუსთაველის N147, "სახალხო ბანკის" ბორჯომის ფილიალის შენობა, მე-2 სართული. საკონტაქტო პირი ვასილ ჟვანია.

**სატენდერო წინადადების ჩაბარების წესი და ბოლო ვადა:**

სატენდერო წინადადება ორ ეგზემპლარად დალუქული სახით წარმოდგენილ უნდა იქნეს 2005 წლის 5 სექტემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზირი N12, მე-3 სართული, ოთახი N303.

**ტენდერში მონაწილეობის გადასახადია 200 ლარი**, რომელიც უკან არ დაბრუნდება. გადასახადი უნდა გადაირიცხოს გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშზე. ანგარიშის ნომერია: "თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: 220101830, ანგარიშის ნომერი: N609300. გადარიცხვის დანიშნულებაში მიუთითეთ: "ლამაზი ბორჯომი" და ტენდერში მონაწილე კომპანიის სახელი. სატენდერო წინადადება მიიღება მხოლოდ სატენდერო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ("საგადასახადო დავალება") წარმოდგენის შემთხვევაში.

ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

ატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთაღნიშნულ

მისამართებზე გიორგი ედილაშვილისაგან - პროექტის კოორდინატორი.

ტელეფონი 899 55-86-50.

**საქართველოს გენერალური პროკურატურის** სატენდერო კომისიის დანცხადება 2005 წლის 10 აგვისტოს სამსახურის კუთვნილი ავტომობილებისათვის პროფილაქტიკური მომსახურეობის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული სატენდერო განცხადების ტექსტში **დამატების** შეტანის შესახებ:

ავტოსატრანსპორტო საშუალებების პროფილაქტიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული განცხადებით მოთხოვნილ სხვა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, მონაწილე პირებმა უნდა წარმოადგინონ "საქსტანდარტის" მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტზე გაცემული შესაბამისობის სერთიფიკატი.

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **მესტიის რაიონის სოფელ მაზერში არასრული საშ. სკოლის მშენებლობა.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**ბეჩოს საკრებულოს განვითარების სათემო კავშირთან "მაზერი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სათემო კავშირი "მაზერი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, მესტიის რაიონი,**
**სოფელ ბეჩოს, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი გოჩა ხორგუანი, სათემო კავშირი "მაზერი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 22 აგვისტოდან** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 900** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, მესტიის რაიონი**
**სოფელი ბეჩოს, გამგეობის შენობა**
**საკონტაქტო პირი გოჩა ხორგუანი, სათემო კავშირი "მაზერი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 20 სექტემბერი 14:00 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# ახალი გამაგრილებელი პროექტი

### "შეუერთდი კოკა-კოლას მუსიკალურ ტალღას"



*"კოკა-კოლას" მარკეტინგის მენეჯერი გოგა რობაქიძე.*

*"ჯეოსტარი" ზღვისპირეთისკენ მიემართება. ახალი პროექტი "შეუერთდი კოკა-კოლას მუსიკალურ ტალღას" 20 აგვისტოს ურეკში (იმედის ქალაქი) აიღებს სტარტს, გაგრძელდება ბათუმში 27 აგვისტოს (ბულვარი), ხოლო დასასრული 23 სექტემბერს თბილისში, რიყეზე იგეგმება.*



*"ჯეოსტარელები" მოგვიწოდებენ...*

ვერა ნეფარიძე

პროექტის სატელევიზიო სარეკლამო რგოლი უკვე ტრიალებს ეთერში. "შეუერთდი კოკა-კოლას მუსიკალურ ტალღას" - მოუწოდებენ პოპულარული მუსიკალური კონკურსი-თამაშის მონაწილეები ზღვისპირეთში დამსვენებლებს. თუმცა, პროექტის ორგანიზატორებს დიდი იმედი აქვთ, "ჯეოსტარის" საზაფხულო ტურნე ურეკსა და ბათუმში სხვებსაც გადააწყვეტინებს (რამდენიმე დღით მაინც) გურიასა და აჭარაში დასვენებას. ამ პროექტის ერთ-ერთი მიზანი საქართველოს ზღვისპირა კურორტების გააქტიურებაც არის.

როგორც ცნობილია, საკმაოდ წარმატებული თამაშის "ჯეოსტარის" ინიციატორი კომპანია "ჯეოსელი". პირველი ნაწილი დეკემბერში გაიმართა. პროექტი თავიდანვე მოექცა ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მიზეზი რამდენიმე გარემოებით შეიძლება აიხსნას: მაყურებელს მოსწონს, როდესაც მონაწილეობს ახალი ვარსკვლავის "შექმნაში", ბევრი მიიჩნევს, რომ მისი მხარდაჭერა ამა თუ იმ რჩეულის მიმართ არის დახმარება, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდა შემსრულებლებს კარიერის შექმნაში ეხმარებათ; თავად მონაწილეებისთვის კი ეს არის მსუბუქი, სახალისო გზა პროფესიული სურვილების ასასრულებლად.

"კოკა-კოლა" თავიდანვე პროექტის სპონსორი იყო, თუმცა, ამჯერად გადაწყვიტა "ჯეოსტარის" საზაფხულო ტურნეს სახით პროექტის დამატებით ნაწილს ჩაუყაროს საფუძველი. ამას გარდა, "ჯეოსტარის" საზაფხულო ტურნეს ორი მიზანი აქვს: უფრო მასობრივი გახდეს პროექტი - ანუ კონცერტებზე დასწრება შეუზღუდავია, ყველა მსურველი დაესწრება უფასოდ, ღია ცის ქვეშ. და კიდევ: ამ პროექტით "კოკა-კოლა" შეეცდება საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონების გამოცოცხლებაში. "ეს ბავშვები საკმაოდ პოპულარულები არიან საზოგადოებაში. როდესაც განვიხილავდით "ჯეოსტარს", როგორც მსოფლიოში აპრობირებულ თამაშს, მივედით დასკვნამდე, რომ ამას მოსახლეობა მიიღებს, მისთვის საინტერესო იქნება", - გვითხრა "კოკა-კოლას" მარკეტინგის მენეჯერმა გოგა რობაქიძემ.

ზაფხულის ცხელ დღეებში ზღვის პირას ღია ცის ქვეშ კონცერტები "ჯეოსტარელების" მონაწილეობით ორ ქალაქში - ურეკსა და ბათუმშია დაგეგმილი. რაც მთავარია, ამ კონცერტებში მონაწილეობას მიიღებს კონკურსის უკლებლივ ყველა მონაწილე (აჩიკო ნიჟარაძე, გიორგი შარაბიძე, გიორგი ბუშელაშვილი, ლიკა შუბითიძე, საკო სუხიშვილი, ნუკი ცარელაშვილი, ელიზბარ ჩხაიძე, სოფო კუჭავა, ბოკა კვეკვესკირი, გიორგი არჩვაძე, ქეთი ტუღუში, გუგა აფციაური). ტურნეს დროს "ჯეოსტარელებს" სტუმრების რანგში ცნობილი შემსრულებლებიც (ლელა წურწუმია, ნატო მეტონიძე, დათო გომართელი, კახუჩელა), ასევე პოპულარული სატელევიზიო გმირები (შაბათის შოუდან: გურამი და ნანული) შეუერთდებიან. მუსიკალურ საღამოებს წაიყვანენ ხატია შამუგია, ასევე გადაცემა კოქტეილის მოდერატორები: კოკა და ლოლა.

პროექტის ორგანიზატორები სტუმრებს ენერგიულ მეგამიქსებს, სიურპრიზებს, საინტერესო დადგმებსა და თვალისმომჭრელ ფოიერვერკებს (რომელიც დაასრულებს კონცერტებს) ჰპირდებიან. კონცერტებისთვის საგანგებოდ შეიქმნა ორიგინალური სიმღერა (რომლის მუსიკაც დათო ფორჩხიძემ დაწერა), ვიდეორგოლი კი რეჟისორმა ზაზა ორაშვილმა გადაიღო. "კოკა-კოლასთან" ერთად პროექტის ორგანიზატორია სარეკლამო სააგენტო "მაკენ ერიქსონ ჯორჯია" (სარეკლამო ბიზნესში მსოფლიო მასშტაბით 100 წარმატებულ წელს ითვლის. საქართველოში კი სააგენტო 1998 წლიდან მუშაობს). პროექტით გათვალისწინებულ კონცერტებს თბილისში, რიყეზე დაგეგმილი მუსიკალური საღამო დაასრულებს. რაც შეეხება "კოკა-კოლას" რეგიონულ პროექტებს, ის მხოლოდ "ჯეოსტარის" საზაფხულო ტურნეთი არ შემოიფარგლება. ამ მხრივ კომპანიას გაცილებით მსხვილმასშტაბიანი გეგმები აქვს (მაგალითად, გაისად კომპანიის მიერ ქობულეთში ამოქმედდება სანატორიუმი "საქართველო", ბორჯომსა და აჭარაში კომპანიამ გახსნა ობიექტები ადგილობრივი მოსახლეობის დასასაქმებლად და ა.შ.). "ჯეოსტარისადმი" განსაკუთრებული ყურადღება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ "კოკა-კოლა" მუსიკალურ სფეროში მხოლოდ ამ პროექტით შემოიფარგლება. ძალაში რჩება მისი "ჯაზ-ფესტივალის" გენერალური სპონსორობა და გაისისთვის მელომანებს განსაკუთრებული სტუმრების ჩამოყვანასაც ჰპირდება.

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურს ფოთის საზღვაო ნავსადგურის N6 ნავმისადგომის საინჟინრო გამოკვლევისა და კაპშეკეთებითი (აღდგენითი) სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებაზე.

ჩასატარებელი სამუშაოების სახეობა - ნავმისადგომის საინჟინრო გამოკვლევა და მისი აღდგენის პროექტის შემუშავება.

პროექტირების სტადიები - 2 სტადია :

- პროექტი, შეკეთების ვარიანტების ტექნი-კური გადაწყვეტილებების წინასწარი შემუშავებით;

- მუშა დოკუმენტაცია, დამტკიცებული ვა-რიანტის მიხედვით.

1. პროექტირების განსაკურებული პირობები:

1.1. ობიექტის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები:

· I კატეგორიის ობიექტი. ნავმისადგომი გაანგარიშებულ უნდა იქნეს I კატეგორიის დატვირთვებზე, ნავმისადგომის კონსტრუქცია - ესტაკადური ტიპის სიგრძით 220 გრძ.მ., რკინა ბეტონის ხიმინჯოვან საფუძველზე, მათ შორის სანავმისადგომო ხაზის სიგრძე - 213,3 მეტრი, ნავმისადგომის კორდონთან სიღრმე - პორტის "0"-დან 9,75 მეტრი;

· საანგარიშო გემი - "პოლტავა"-ს ტიპის ბალკერი 15 ათას ტონამდე დედვეიტით;

· მუშაობის რეჟიმი - მთელი წლის განმავლობაში, სადღეღამისო;

1.2. გადამტვირთავი ტერმინალის დანიშნულება, ტვირთბრუნვა, ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობანი შენარჩუნებული უნდა იქნენ უცვლე-ლად;

1.3. პროექტირების დაწყებამდე საჭიროა ჩაუტარდეს ტექნიკური მდგომარეობის წყალქვეშა და წყალზედა საინჟინრო გამოკვლევები ნავმისადგომის ჰიდროტექნიკურ და სხვა ნაგებობებს, საინჟინრო ქსელებს, ღია სასაწყობო მოედანს, რომლებიც საჭიროებენ აღდგენას, და ტოპოგრაფიული აგეგმვა N6 ნავმისადგომს მისი მიმდებარე ტერიტორიით;

1.4. ტექნიკური გადაწყვეტილებების ვარიანტების შემუშავება:

· ტექნიკურ გადაწყვეტილებებში განხილულ უნდა იქნეს ნავმისად-გომის აღდგენის ვარიანტები;

· ამწისქვეშა და სარკინიგზო გზები, ტერიტორიის საფარი და საინ-ჟინრო ქსელები მათი პარამეტრების შეუცვლელად ექვემდებარება აღდგენას მოქმედი ნორმების შესაბამისად;

1.5. საპროექტო დოკუმენტაცია შემუშავებულ უნდა იქნეს N6 ნავმი-სადგომის კონსტრუქციული ელემენტებისა და სასაწყობო მოედნის დეფორმაციის პროცესების ადგილის ქონის გათვალისწინებით ტექნი-კური გადაწყვეტილებების შეთანხმებისა და დამკვეთის მიერ ნავმი-სადგომის აღდგენის ვარიანტის დამტკიცების შემდეგ;

1.6. მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება არ საჭიროებს რიგითობას;

1.7. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნავმისადგომის კორდონთან და მიმედბარე აკვატორიაში სარემონტო ფსკერდაღრმავება სიღრმეების აზომ-ვის გეგმის საფუძველზე;

1.8. ტერმინალის საინჟინრო ქსელები ჩართულ უნდა იქნეს N6 ნავმისადგომის საზღვართან არსებულ საინჟინრო ქსელებთან დამკვეთის მიერ წარდგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად;

1.9. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს N6 ნავმისადგომის ზურგში N4, 5 ნავმისადგომებზე სარკინიგზო მისასვლელი დრობითი გზების მოწყო-ბის აუცილებლობა;

1.10. N6 ნავმისადგომის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები მიღებულ უნდა იქნეს ფოთის ნავსადგურის საარქივო მასალების შესაბამისად;

1.11. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (კრებსითი და ლოკალური ხარჯთაღრიცხვები) შემუშავება უნდა მოხდეს ფასწარმოქმნისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

1.12. პროექტის სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზიხ გავლა და დამტკიცება უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამიასდ;

1.13. კონკურსში მონაწილე ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატი და საზღვაო ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებაზე შესაბამისი ლიცენზია;

1.14. სამუშაოთა შესრულების დამთავრების აუცილებელი ვადა - 2006 წლის 15 მაისამდე.

2. დაინტერესებულ იურიდიულ პირებმა (ქართველმა "მომწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მომწოდებელმა" - ინგლისურ ან რუსულ ენაზე), თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები 2005 წლის 01 სექ-ტემბრამდე ელექტრონული ფოსტით **besojojua@yahoo.com** ან ფაქსით: +(995 393) 7-01-48, ხოლო ელექტრო ვერსიით ან ტელეფაქსით გამოგზავნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დედნები უნდა წარედგინოს შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს საკონკურსო კომისიას 2005 წლის 06 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, საზღვაო ნავსადგურის ადმინისტაციული შენობა.

**3.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**3.1.** საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისათვის:

· ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

· ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

· ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი იყო თუ არა მსჯავრდადებული;

· ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან - გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

3.2. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრა-ციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი;

3.3. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაო:

| N | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოს ტიპი | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| . | | | | | |
| 2 | | | | | |
| . | | | | | |
| . | | | | | |
| . | | | | | |

3.4. სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო ინსტრუმენტების, მოწყობილობა და მექანიზმების ჩამონათვალი:

| N | დასახელება | აღწერილობა, მოდელი ტიპი, მარკა და ასაკი. | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი) | საკუთარი, იჯარით აღებით |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| . | | | | | |
| . | | | | | |

3.5. კონკურსში მონაწილე ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

| N | თანამდებობა | გვარი, სახელი, მამის სახელი. გამოცდილება. | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| 3. | | | | |
| . | | | | |
| . | | | | |

4. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა 3.1. პუნქტში ჩამოთვლილი ყველა ცნობა უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის კანო-ნით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან;

5. იურდიული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების ჩაბარების შემდეგ საკონკურო კომისია განიხილავს საკვალიფიკაციო მონაცემებს და დამტკიცებულ პრეტენდენ-ტებს 2005 წლის 10 სექტემბრამდე აცნობებს სხდომაზე მიღებულ გადა-წყვეტილებას.

7. კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტის მიღება შეუძლიათ შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის I სართულზე შესყიდვების განყოფილებაში, (ტელ/ფაქსი: +(995393) 7-01-48) 2005 წლის 11 სექტემბრიდან 2005 წლის 18 სექტემბრამდე ქართველი პრეტენდენტებისათვის 300 (სამასი) ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტის ლარებში, თანხის გადახდის შემდეგ (საკონკურსო მოსაკრებლის ანგარიში - ა/N623607, ბანკის/კოდი: N220101606, საინდიფიკაციო/კოდი: N2150809999), გაერთიანებული ქართული ბანკის N23-ე ფილიალი, ან უცხოელი პრეტენდენტებისათვის 300 (სამასი) ა.შ.შ. დოლარის გადახდის შემდეგ (Citi Bank N.A. New York, USA SWIFT CITUS 33, ABA 021000089, United GEORGIAN Bank Poti Branch, Swift UGEBGE 22, C/A 36021436 in favor of Poti Port, ace № 273617)

8. საკონკურსო წინადადება ქართველმა "მომწოდებელმა" წარმოადგინოს - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მომწოდებელმა" - ინგლისურ ან რუსულ ენაზე. საკონკურსო წინადადების დოკუმენტების დედანი უნდა იყოს წარმოდგენილი დალუქულ კონვერტებში.

9. საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2005 წლის 30 სექტემბერი, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის I სართული, შესყიდვების განყოფილება, ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52.

10. საკონკურსო წინადადებების განხილვის შედეგების საფუძველზე საკონკურსო კომისია 2005 წლის 05 ოქტომბრამდე აცხადებს კონკურსში გა-მარჯვებულს.

11. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - საკონკურსო წინადადების მთლიანი ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

12. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

13. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელ-შეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, დასადები ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

14.ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლომდე.

15.კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემ-დეგ კრიტერიუმებს: სამუშაოების დაწყების ვადებს, შესასრულებელი სამუშაოების ხანგძლივობას, ანგარიშსწორების პირობებს, სამუშაოების ღირებულებას მთლიანობაში.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება საკონტაკტო პირი - შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი ბესარიონ ჯოჯუა (ელ-ფოსტა **besojojua@yahoo.com,** ტელ/ფაქსი: +(995393) 7-01-48 ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, ან ჰიდროტექნიკურ და საინჟინრო ნაგებობათა განყოფილების უფროსი გენადი კაჭაროვსკი (ელ-ფოსტა **ikelbakiani@potiport.com,** ტელ/ფაქსი: + (995393) 7-01-18 ტელ: +(995393) 7-01-35 ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი N1, სამშენებლო კომპლექსის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული.

# კულტურული მემკვიდრეობის ახალი კრებული

გამოვიდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი კრებულის მეექვსე ტომი. კრებული საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლების ფოტოებს და მათ შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მოიცავს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი რვატომეულის მეექვსე ტომის პრეზენტაცია ეროვნულ ბიბლიოთეკაში გუშინ გაიმართა.

როგორც საქართველოში გერმანიის საელჩოდან გვაცნობეს, გამოცემაზე საელჩომ 1996 წლიდან 57 591 ევრო გაიღო. მათი ინფორმაციით, კრებულზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფთან ერთად გერმანიის ქალაქ აახენის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გუნდოლფ ბრუხჰაუზი მუშაობდა.

პროექტზე თორმეტწლიანი მუშაობისას მეცნიერებმა 35 000 ფოტო და 1187 არქიტექტურული ძეგლის 4 800 ნახაზი შეაგროვეს.

ამჟამად მზადდება კრებულის მეშვიდე ტომი, რომელიც აფხაზეთის, აჭარის, გურიის, სამეგრელოსა და სვანეთის ხუროთმოძღვრულ ძეგლებს ეძღვნება. მერვე ტომში აღინუსხება საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ძეგლები.

***პრაიმ-ნიუსი***







ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხატო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა

# "პინქფლოიდი" ერთად ვერ იარსებებს



"პინქფლოიდის" მუსიკოსებმა უარი განაცხადეს მომავალში ჯგუფის კლასიკური შემადგენლობით მოღვაწეობის გაგრძელებაზე. ლეგენდარული ჯგუფის წევრები დაკმაყოფილდნენ Live 8-ის ფესტივალზე გამოსვლით. იმის მიუხედავად, რომ გამოსვლით მუსიკოსებიც კმაყოფილი დარჩნენ, როჯერ უოტერსი, დევიდ გილმორი, ნიკ მეისონი და რიჩარდ რაიტი სცენაზე ერთად მაინც აღარ აპირებენ ყოფნას. მართალია, ყოფილი მეგობრებს ურთიერთობაში პრობლემები არა აქვთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ძველი უთანხმოება ძალაშია. "ამ საკონცერტო გამოსვლისას ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მე და დევიდს იმდენად განსხვავებული მუსიკალური, ფილოსოფიური, პოლიტიკური და მხატვრული შეხედულებები გვაქვს, რომ ჩვენი ერთობლივი მუშაობა ვერ იქნება ნაყოფიერი", - განაცხადა როჯერ უოტერსმა.

ამჟამად უოტერსი თავისი მეტად ამბიციური საოპერო პროექტით არის დაკავებული. ოპერას საფრანგეთის რევოლუციაზე, ფრანგული სახელწოდებით Ca ira მუსიკოსი 16 წელიწადია ქმნის. ნაწარმოების პრემიერა 17 ნოემბერს რომშია დაგეგმილი.

# ლეონარდ კოენი მოითხოვს



ცნობილი კანადელი მუსიკოსი და პოეტი ლეონარდ კოენი საკუთარი მენეჯერისგან 5 მილიონ დოლარს მოითხოვს. ამ მიზნით კოენმა სარჩელი უკვე შეიტანა ლოს ანჯელესის სასამართლოში. სარჩელში წერია, რომ მენეჯერის კელი ლინჩის არაკეთილსინდისიერების გამო კოენმა 5 მილიონი დოლარი დაკარგა. მენეჯერის საქციელი შეფასებულია როგორც საკონტრაქტო მოვალეობების, ისე სანდო პირის მოვალეობების შეუსრულებლობა და თაღლითობა.

ლინჩი 17 წლის განმავლობაში იყო კოენის მენეჯერი. შარშან ოქტომბერში კი მუსიკოსმა თანაშემწე დაითხოვა. სავარაუდოდ, ლინჩმა იმ დროს დაიწყო თაღლითობა, როდესაც კოენი მუსიკას ჩამოშორდა და გაცილებით მეტ დროს უთმობდა სულიერ საკითხებს ლოს ანჯელესიდან მოშორებით მდებარე ძენ-ბუდისტურ ცენტრში. იმ დროს, როდესაც კოენს არ ჰქონდა საკონცერტო გამოსვლები და არ გამოსცემდა ჩანაწერებს, ლინჩმა თვითნებურად საჰონორარო ბიუჯეტიდან დიდი პროცენტი აიღო.

# ოლეგ ტაბაკოვი იუბილარია



გუშინ დაბადებიდან 70 წელიწადი შეუსრულდა ცნობილ რუს მსახიობს ოლეგ ტაბაკოვს. ტაბაკოვმა შეწყვიტა შვებულება და მოსკოვში დაბრუნდა, რათა მეგობრების, კოლეგებისა და მოსწავლეების წრეში აღნიშნოს საიუბილეო თარიღი. საიუბილეო ღონისძიებები კი, სულ მცირე, ორი თვის განმავლობაში გაგრძელდება. 9-დან 16 სექტემბრამდე მსახიობი სარატოვში იქნება. მშობლიურ ქალაქში მას ორი თეატრის - "მხატისა" და "ტაბაკერკას" დასები გაჰყვება. ერთი კვირის განმავლობაში ოროვე დასი ექვს სპექტაკლს წარმოადგენს.

"ადამიანს, რომელიც თეატრს ხელმძღვანელობს, ერთი თვისება უნდა ახასიათებდეს. იგი ისევე უნდა ზრუნავდეს მასზე დაქვემდებარებულ ადამიანებზე, როგორც საკუთარ თავზე", - ამბობს ოლეგ ტაბაკოვი, რომელიც ამ წესის დაცვით ხუთი წელიწადია "მხატს" ხელმძღვანელობს.

ამჟამად ოლეგ ტაბაკოვს იღებენ იშტვან საბოს ფილმში "ნათესავები". პარალელურად დაკავებულია ელდარ რიაზანოვთან, რომელიც ამზადებს ფილმს უდიდეს მეზღაპრეზე - ანდერსენზე. ოქტომბერში "მხატში" დაგეგმილია ოლეგ ტაბაკოვის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

# ფესტივალი ერთი წლით გადაიდო

ბათუმში აგვისტოში დაგეგმილი ფესტივალი "სან-სიტი" ერთი წლით გადაიდო. როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა, საქართველოს ბიზნეს-განვითარების ცენტრ "კავკასიის" დირექტორმა სერგი ბარამიძემ განაცხადა, ფესტივალი სახელმწიფოს მხარდაჭერით უნდა გამართულიყო და ძირითადი პრობლემები აჭარის თვითმმართველობის აპარატს უნდა გადაეწყვიტა, თუმცა, შესაბამისი სახსრების გამოყოფა ამ დრომდე ვერ მოხერხდა. "ფესტივალი მიზნად ისახავდა ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე კაფე-ბარებისა და ბუნგალოების დადგმას, სადაც სტუდენტები დასაქმდებოდნენ. სტუდენტებს უნდა ემუშავათ მიმტანებად, დამლაგებლებად, მომსახურე პერსონალად", - აღნიშნა ბარამიძემ. მისივე ინფორმაციით, ფესტივალისთვის ბულვარის ტერიტორიაზე დაახლოებით 5 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი უნდა გამოეყოთ. საკუთარი ბარების დადგმას გეგმავდნენ კომპანიები "კოკა-კოლა", "ნიკორა" და სხვები.

დიჯეების ფესტივალ "სან-სიტიში" მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყვნენ ქართველი და უცხოელი დიჯეები. პარალელურად იგეგმებოდა კონცერტები და მოდების ჩვენებებიც.

***"ინტერპრესნიუსი"***

# საზაფხულო კოლექციის ჩვენება ზღვისპირეთსა და თბილისში

დიზაინერი ზალიკო ბერგერი აგვისტოს ბოლოს ბათუმსა და ქობულეთში საზაფხულო კოლექციის ჩვენებას გეგმავს. კოლექციაში 80-მდე ნამუშევარია, ძირითადად, ქალის სამოსი. კოლექციაში ასევე წარმოდგენილი იქნება აქსესუარები და საცურაო კოსტიუმები.

"ჩემს კოლექციაში ყვითელი, სალათისფერი და ვარდისფერია გამოყენებული, შეკერილია ძირითადად ტრიკოტაჟის ქსოვილებისგან," - განაცხადა დიზაინერმა. ზალიკო ბერგერი ამ კოლექციაზე შვიდი თვის განმავლობაში მუშაობდა. ნამუშევრების ჩვენებას ბერგერი სექტემბერში თბილისში გამართავს.

***"ინტერპრესნიუსი"***

სახელი
გვარი
ასაკი
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი
1 ოჯახური მდგომარეობა :
3 პროფესია :
8 თქვენი ინტერესები
9 თქვენი ჰობი
11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ?
ხელმოწერა ________ თარიღი ________
გადაცემა
სუსტი რგოლი
მოთამაშის ანკეტა
თქვენი ფოტოსურათი